ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

UNFPA

UN WOMEN

ერთად გენდერული სტერეოტიპებისა
და გენდერული ძალადობის დასაძლევად
#eu4genderequality

საკონფერენციო მოხსენებებისა და სტატიების კრებული

14 მარტი, 2023

მასწავლებელთა და სტუდენტთა ონლაინ-კონფერენცია ჩატარდა პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ ფარგლებში, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციაა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR).

ნინო თევდორაძე
ქუთაისის N2 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი და სტემ საგნები

მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტურად მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ხარისხიან განათლებას ეთმობა. ჩვენს ეპოქაში კი, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხანაში, განათლებული საზოგადოება ყველაზე დიდი ადამიანურ რესურსს წარმოადგენს. თავის მხრივ, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის გააზრება და ქალებისა და მამაკების თანასწორობა უმაღლესი განათლების მისაწვდომობის თვალსაზრისით ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის ერთ-ერთი ქმედით საშუალებად გვევლინება.

მინდა თქვენი ყურადღება ერთ საგულისხმო ფაქტზე შევაჩერო და ჩემს მიერ ჩატარებული მცირეოდენი დაკვირვების შედეგები გაგიზიარით. როგორც მოგეხსენებათ სტემ დარგების პოპულარიზება გამაწყვეტია მდგარადი განვიტაერის მიზნების განსახორციელებლად,

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში იზრდება მოთხოვნა ამ დარგის სპეციალისტებზე, ქალები, რომლებიც მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, ნაკლებად არიან წარმოდგენილი ამ მიმართულებით. 2015 წელს სამუსაო ძალის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გლობალური „ნიჭის დეფიციტი“ 38%-ს შეადგენს, და აქედან ათი

პროფესია, რომლებშიც ყველაზე დიდი ნაკლებობაა, სტემთან დაკავშირებული პროფესიებია. ამავე დროს, იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის შეფასების მიხედვით, ქალები მთელს მსოფლიოში საბუნებისმეტყველო მიმართულებით მკვლევარების მხოლოდ 28%-ს შეადგენენ.

გოგონებისა და ქალების დაბალი მონაწილეობა სტემ დარგებში შეიმჩნევა განათლების ყველა საფეხურზე, ამასთან, სტაბილურია ტენდენცია, რომ ქალების მონაწილეობა მით უფრო დაბალია, რაც უფრო მაღალ საფეხურზე გადავდივართ. ეს აირეკლება შრომის ბაზარზეც, სადაც კარიერულ წინსვლასთან ერთად , ქალების მონაწილეობა სულ უფრო მცირდება და ისინი ფაქტობრივად არ გვხვდებიან მაღალი დონის მენეჯერულ და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

გოგონებისა და ქალების დაბალ მონაწილეობას სტემ დარგებში, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორისაა: ზოგადი სოციოკულტურული და შრომის ბაზართან დაკავშირებული წინასწარი წარმოდგენები, რომლებიც ძალიან დიდი გავლენას ახდენს ახალგაზრდების შეხედულებებსა და კარიერასთან დაკავშირებულ არჩევანზე, განსაკუთრებით იმასტან დაკავშირებით, თუ რომელი პროფესიები აღიქმენა ქალებისთვის ან კაცებისთვის შესაფერისად; ასევე, დიდ როლს თამაშობს სასკოლო სასწავლო მასალა, რომელთა დიდი ნაწილიც სამწუხაროდ გაჯერებულია სხვადასხვა გენდერული სტერეოტიპებითა და

შეხედულებებით. ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები და სხვა საგანმანათლებლო რესურსები თავისუფალი უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული გენდერული როლებისგან.

უმნიშვნელოვანესია სასკოლო განათლების როლი ზემოთ განხილული ქეისის გადასალახად, კერძოდ, პედაგოგების მხრიდან საფუძვლიანი შესწავლა უნდა მოხდეს გენდერულად მგრძნობიარე სწავლების სტრატეგიებისა, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა პოტენციალის სრულად გამოვლენას; აუცილებელი ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ახალი ცოდნის რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენებას, აგრეთვე, სწავლება შემოქმედებითი ექსპერიმენტებით, რაც არა მხოლოდ ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს სტემ საგნების მიმართ.

PISA 2015
მოსწავლეთა მიღწევები სქესის მიხედვით
საქართველოში, PISA-ს ტენდენციისაგან განსხვავებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში გოგონების საშუალო მიღწევა უფრო მაღალია, ვიდრე ბიჭების
საქართველო
403
420
374
432
398
411
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
წაკითხულის გაგება
მათემატიკა
OECD
495
491
479
506
494
486


PISA 2015
მოსწავლეთა კარიერული მოლოდინები
(საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში)
როგორ ფიქრობთ, სავარაუდოდ რა პროფესია გექნებათ 30 წლის ასაკში?
OECD საშუალო
საქართველო
გოგო
ბიჭი
0%
5%
10%
15%
20%
სამეცნიერო-საინჟინრო სფერო
სამედიცინო სფერო
საინფორმაციო კომუნიკაციების ტექნოლოგიები
საბუნებისმეტყველო სფეროს ტექნიკოსები და ასოცირებული სპეციალისტები
საქართველოში მოსწავლეები ნაკლებად ირჩევენ მეცნიერებასთან დაკავშირებულ პროფესიას. გოგონების არჩევანს ამ მიმართულებით ძირითადად სამედიცინო სფერო წარმოადგენს.
OECD


PISA 2015
მოსწავლეთა კარიერული მოლოდინები
(საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში)
როგორ ფიქრობთ, სავარაუდოდ რა პროფესია გექნებათ 30 წლის ასაკში?
OECD საშუალო
საქართველო
გოგო
ბიჭი
0%
5%
10%
15%
20%
სამეცნიერო-საინჟინრო სფერო
სამედიცინო სფერო
საინფორმაციო კომუნიკაციების ტექნოლოგიები
საბუნებისმეტყველო სფეროს ტექნიკოსები და ასოცირებული სპეციალისტები
საქართველოში მოსწავლეები ნაკლებად ირჩევენ მეცნიერებასთან დაკავშირებულ პროფესიას. გოგონების არჩევანს ამ მიმართულებით ძირითადად სამედიცინო სფერო წარმოადგენს.
OECD


PISA 2015
მოსწავლეთა კარიერული მოლოდინები
(საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში)
როგორ ფიქრობთ, სავარაუდოდ რა პროფესია გექნებათ 30 წლის ასაკში?
OECD საშუალო
საქართველო
გოგო
ბიჭი
0%
5%
10%
15%
20%
სამეცნიერო-საინჟინრო სფერო
სამედიცინო სფერო
საინფორმაციო კომუნიკაციების ტექნოლოგიები
საბუნებისმეტყველო სფეროს ტექნიკოსები და ასოცირებული სპეციალისტები
საქართველოში მოსწავლეები ნაკლებად ირჩევენ მეცნიერებასთან დაკავშირებულ პროფესიას. გოგონების არჩევანს ამ მიმართულებით ძირითადად სამედიცინო სფერო წარმოადგენს.
OECD

თეა ჯოლბორდი

თბილისის N142 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი და ტრადიციები

„ჩემი და მთელი დღე ქურასთან დგას, საჭმელებს აკეთებს, ქმარს ძმაკაცები მოსდიან ყოველ საღამოს და უშლის სუფრებს და ემსახურება... სტუმრიანი ოჯახიაო, რა ვქნათო... მისმა დედამთილმა თქვა... ტრადიცია გვაქვსო... ჩემმა დამ სამუშაოს თავი დაანება, თუმცა კარგი ბუღალტერი იყო“ - აცხადებს ერთ-ერთი რესპოდენტი მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულების კვლევაში.

ქალის ჩაგვრისა და ამის ტრადიციებით გამართლების მაგალითი ბევრია ჩვენ გარშემო. გენდერის ნიშნით ადამიანებისადმი განსხვავებული დამოკიდებულებები უცხო არ არის თანამედროვე საზოგადოებისთვისაც. მათი მოლოდინები ქალის მიმართ უფრო მკაცრია, ნაკლებად შემწყნარებლური და ამ შეხედულებების შეცვლისთვის კომპლექსური მუშაობაა საჭირო.

ქალის და კაცის თანასწორობა (გენდერული თანასწორობა) გულისხმობს ქალების, კაცების, გოგონების და ბიჭების თანასწორ უფლებებს, პასუხისმგებლობებს და საშუალებებს. თანასწორობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ქალი და კაცი ერთი და იგივე გახდება, არამედ იმას, რომ ქალის და კაცის უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები არ იქნება განსაზღვრული იმით, ქალად არიან დაბადებული თუ კაცად (DCAF, 2022).

გაეროს ქალთა ორგანიზაციის განსაზღვრებით, გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალებს და კაცებს თანასწორი პირობები აქვთ ადამიანის უფლებების სრულად განხორციელებისთვის და ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაში მონაწილეობის და მისგან სარგებლის მიღებისთვის. ის ეფუძნება პრინციპს, რომ ქალები და კაცები არიან თანასწორი პარტნიორები სახლში, თემში და საზოგადოებაში. გენდერული თანასწორობა იწყება გოგონების და ბიჭების თანაბრად დაფასებით (DCAF, 2022).

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, ქალები მაინც აწყდებიან პრობლემებს ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას (საქსტატი, 2021).

ჩვენთვის კარგად ცნობილი ტრადიციები დაბრკოლებას ქმნის გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული ადრეული ქორწინების პრაქტიკა. ადრეულია ქორწინება თუ ორივე მათგანი 18 წელს არაა მიღწეული. ჩვენს საზოგადოებაში ხშირია ამ ტიპის ქორწინების მაგალითები.

ადრეული ქორწინება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული გენდერის საკითხთან, ვინაიდან იგი სხვადასხვაგვარად მოქმედებს გოგონებისა და ბიჭების განვითარებაზე. ამასთან, ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა, მკვეთრად ნაკლებია, გოგონათა რაოდენობაზე. ამასთანავე, სტატისტიკის მიხედვით, ქალების 14% საქართველოში 18 წლამდე დაქორწინდა. ეს მონაცემები საყურადღებოა, ვინაიდან უნდა გავითვალისწინოთ, რომ არასრულწლოვანთა ქორწინებები ხშირად ოფიციალურად არაა რეგისტრირებული. ადრეული ქორწინება გარკვეულწილად იწვევს გოგონათა გარიყვას სოციალური ცხოვრებიდან, ხელს უშლის მათ განათლების მიღებაში, იქნება ეს სკოლის დასრულება თუ უმაღლესი განათლების მიღება. მოზარდობის ასაკში ორსულობა და მშობიარობა საფრთხეს უქმნის როგორც დედის, ისე ნაყოფის ჯანმრთელობას (UNFPA, 2022).

საბედნიეროდ, საზოგადოების უდიდეს ნაწილს, დამამცირებლად მიაჩნია ქალის მოტაცების ტრადიცია და შესანარჩუნებელ ტრადიციათა რიცხვს აღარ მიაკუთვნებს.

კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც გენდერული სტერეოტიპებით არის მოტივირებული შვილისთვის სქესის მიხედვით პრიორიტეტის მინიჭებაა. კვლევის მიხედვით, რესპოდენტები აღიარებენ, რომ ვაჟის ყოლა უფრო პრიორიტეტულია ოჯახში, ვიდრე გოგონასი. ეს ემყარება სტერეოტიპებს, რომ ვაჟი „გვარის გამგრძელებელია“, გოგონა კი დიასახლისი, მზრუნველი, მომვლელი.

სტატისტიკის თანახმად, ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, მოქალაქეების 46% ბიჭს ამჯობინებს, 45%-ისთვის სქესს მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო გოგონას ყოლას მხოლოდ 9% არჩევს. ამჟამად საქართველოში დაბადებულ ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 110 ბიჭი მოდის, მაშინ, როცა დაბადებისას სქესთა შორის ნორმალური ბიოლოგიური ბალანსი მაქსიმუმ 100/106 შეიძლება იყოს. გამოთვლებით დადგინდა, რომ ასეთი პრაქტიკის გამო 1990 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში დაახლოებით 25 000 გოგონა არ დაიბადა (UNFPA, 2022).

2014 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდმა კვლევა ჩაატარა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა დაკავშირებულია რელიგიურ და კულტურულ თავისებურებებთან, სოფლად და ქალაქად ცხოვრებასთან, ოჯახში ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭებასთან. ამ მიმართულებით გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად უპირველე ყოვლისა საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებაა საჭირო (UNFPA, 2022).

თანამედროვე საქართველოშიც კი როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს მიაჩნიათ, რომ ქალის ფუნქციაა ოჯახში იყოს კარგი მზარეული, სწორედ ამით ფასობს ქალი ნათესავებსა და ახლობლებში. ამასთან, ჯერ კიდევ უცვლელია ტრადიციული შეხედულებები გენდერულ როლებზე, თვლიან რომ ქალის ფუნქციაა შვილის გაჩენა და აღზრდა. მას არ აქვს უფლება უარი თქვას საოჯახო საქმეების კეთებაზე, დიასახლისობაზე. თანაც, ნეგატიურად არიან განწყობილი ქალების მიმართ, რომლებიც სამსახურის გამო შვილს ძიძასთან ტოვებენ, ვინაიდან ქალმა

სახლში მეტი დრო უნდა გაატაროს და ენერგია შვილების აღზრდას მოახმაროს. კვლევები ადასტურებს, რომ განათლებული და დამოუკიდებელი ქალის მიმართ, საზოგადოებას აგრესიაც კი უჩნდება, რესპოდენტის თქმით: ***„ქალს, რომელიც განათლებას გადაყვება, ოჯახის შექმნა ავიწყდება, მან უნდა აღზარდოს შვილები რომლებიც სამშობლოს გამოადგება“.*** ქმრისა და ქმრის ოჯახის მიერ ცოლის/რძლის განათლებისადმი წინააღმდეგობას იმით ხსნიან, რომ განათლებულ ადამიანს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფრო მეტი მოთხოვნილება უჩნდება, შესაბამისად უფრო რთულად კონტროლირებადია, ტრადიციები კი შესანიშნავი შესაძლებლობაა მის შესაჩერებლად (ქალთა ფონდი საქართველოში, 2014).

ამის საპირისპიროდ, შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ განვითარებული ქვეყნები, სადაც ბავშვის გაჩენის შემდეგ დეკრეტული შვებულების უფლება ქალის გარდა მამაკაცსაც აქვს. ეს სრულიად აღმოფხვრის სტერეოტიპულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ჩვილის აღზრდა მხოლოდ დედის პასუხისმგებლობაა. მაგალითისთვის, იაპონია სრულად ანაზღაურებად დეკრეტს სთავაზობს მამაკაცებს ერთი წლით; შვედეთი ორივე მშობელს 480 დღით საზიარო დეკრეტულ შვებულებას სთავაზობს ნაწილობრივი ანაზღაურებით; ესტონეთი 2 კვირიან ანაზღაურებად შვებულებას მამაკაცებს, მასთან ერთად კი 435 დღით საზიარო დეკრეტულ შვებულებას (Safeguard Global, 2021).

„ქალი ბავშვების მოვლითაც გაიხარებს სულ რომ არ იმუშაოს„ „უმუშევარი კაცი შეიძლება ნარკომანი გახდეს და ქალი ნაკლებად„ - ეს ის ფრაზებია, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს ცხოვრებაში მინიმუმ ერთხელ მაინც სმენია. ტრადიციულად, ადამიანები თვლიან, რომ პროფესიის შეძენა და კარიერული განვითარება კაცებისთვისაა პრიორიტეტული, ხოლო ქალებისთვის ნაკლებად. იგივე შეიძლება ითქვას განათლების მიღებაზეც. ხშირად ქალები ნაადრევი გათხოვების, ოჯახის გამო იძულებულნი არიან თავი დაანებონ სწავლას, ან უარი თქვან თავის პროფესიაზე მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.



წყარო: საქსტატი

ქალები მხოლოდ ოჯახში არ აწყდებიან წინააღმდეგობებს მუშაობასთან დაკავშირებით. თავად დასაქმების სფეროც გენდერული სტერეოტიპებითაა სავსე. მიუხედავად საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, გენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზე თვალსაჩინოა: ქალები და კაცები სხვადასხვა ტიპის სამუშაო ადგილებზე არიან დასაქმებულნი, მათი ანაზღაურება განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავდება მათი სამუშაო პირობები (გოჩიაშვილი, ნ. 2014).



წყარო: საქსტატი.

ქალებს არ აქვთ წვდომა ოჯახის ფინანსებზე, არ იღებენ ქონებას მემკვიდრეობით, რაც ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია იმისა, რომ მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად იწყებენ ბიზნესს. ამასთან, საზოგადოება ჯერ კიდევ განასხვავებს ქალისა და მამაკაცის პროფესიებს. ეს შეხედულებები გენდერულ როლებზე, სქესის ბიოლოგიური გაგებიდან გამომდინარეობს, ქალი აჩენს შვილს, ზრუნავს მასზე, შესაბამისად ისეთი სამუშაოს შემსრულებლად განიხილება, რომელიც ზრუნვას მოიაზრებს, მაგალითად მასწავლებლობა, მაშინ როცა დიპლომატია, სამართალი, პოლიტიკა ისეთი სფეროებია, რაც შედარებით მეტ დროს მოითხოვს დღის განმავლობაში სამუშაო დროის კუთხით და შესაბამისად, დიდ ენერგიასაც, ქალს კი ბავშვების გაჩენისა და ოჯახის საქმეების კეთების საშუალებას აღარ უტოვებს.

პოლიტიკაში ქალთა გააქტიურების ერთ-ერთი მცდელობა გასულ წლებში პარლამენტში კვოტირების სისტემის შემოღებას უკავშირდება, რაც ქალებისთვის პარლამენტარობის გარანტირებულ შესაძლებლობას იძლევა. კამპანიის სლოგანია „მეტი ქალი პარლამენტში“. დღეისათვის, პარლამენტში 144 წევრიდან მხოლოდ 26-ია ქალი (საქართველოს პარლამენტი,

2022). ამის მიზეზი პარტიულ სიებში ქალთა რაოდენობის სიმცირეა. შედარებისთვის, ფინეთში 200 დეპუტატიდან 83 ქალია, ნორვეგიაში 69/169, შვედეთში 349-დან 165 სწორედ ქალია. ამავე წლის მონაცემებით საქართველო 138-ე ადგილს იკავებდა (Inter-Parliamentary Union, 2019).

უთანასწორობაა შრომის ანაზღაურების კუთხითაც. 2021 წლის მონაცემებით ქალების ანაზღაურება მამაკაცთა ანაზღაურების მხოლოდ 1/3-ს შეადგენდა. გასულ წლებში ეს მონაცემები კიდევ უფრო სავალალო იყო. კერძოდ, 2020 წელს ქალთა ხელფასის თანაფარდობა მამაკაცების ხელფასთან 67.6 პროცენტს შეადგენდა. ამ ყოველივეს განმაპირობებელი მიზეზი სწორედ გენდერული უთანასწორობაა, რომელიც მამაკაცთა შრომას მეტ ფასეულობას ანიჭებს, ვიდრე ქალისას.

ზემოთაღნიშნული ტრადიციები, რომელიც ნეგატიურ სტერეოტიპებს ემყარება ქალებსა და მათ როლზე საზოგადოებაში, ხელს უშლის ქალებს განვითარების, წინსვლის გზაზე. გენდერული უთანასწორობა ამ ჭრილში გულისხმობს, რომ ქალს ბევრად მეტი შრომის გაწევა სჭირდება იმავე შედეგის მისაღწევად ვიდრე კაცს, რისი მიზეზიც მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური განსხვავებაა და არა ინტელექტუალური შესაძლებლობები.

გამოყენებული ლიტერატურა

გოჩიაშვილი, ნ. (2014). *სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით.* საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%97.pdf

საქართველოს პარლამენტი. (2022). *პარლამენტის წევრები.* ხელმისაწვდომია:

https://parliament.ge/parliament-members

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). *ქალი და კაცი საქართველოში.* სტატისტიკური პუბლიკაცია. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/41854/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98_2021.pdf

უსაფრთხოების სექტორის მმართველობის ჟენევის ცენტრი (DCAF). (2022). *კეთილსინდისიერება უსაფრთხოების სექტორში.* ხელმისაწვდომია: https://securitysectorintegrity.com/ka/%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/

ქალთა ფონდი საქართველოში. (2014). *მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://www.womenfundgeorgia.org/Files/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91.pdf

Inter-Parliamentary Union. (2019). *Women in national parliaments.* ხელმისაწვდომია: http://archive.ipu.org/wmn-e/classif.htm

Safeguard global. (2021). *Paternity leave by country – 10 of the best policies.* ხელმისაწვდომია: https://www.safeguardglobal.com/resources/blog/paternity-leave-by-country

UNFPA (2022). *გენდერული თანასწორობა.* ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/ka/topics/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

ლია გიგოლაშვილი
თბილისის N16 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერული ასპექტები პროფესიული და კარიერული არჩევნის კონტექსტში

გენდერული თანასწორობა არის მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ქალისა და მამაკაცის უფლებები თანასწორია. უპირობოდ, ის ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, ხშირად სწორედ ასეთი ძირეული უფლებებია დარღვეული, უგულებელყოფილი ან კიდევ მეორეხარისხოვანი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სიმონ დე ბოვუარი წერდა: "ადამიანი კი არ იბადება, არამედ ხდება ქალი".[1] და სწორედ, ამ "ქალად გახდომის" გადააზრებამ მისცა ქალებს საშუალება, ებრძოლათ, შეეცვალათ ის მიდგომები და წარმოდგენები, რაც კულტურაში ქალის მეორეხარისხოვან ღირებულებაზე მიანიშნებდა. XIX-XX საუკუნის, ფემინისტური მოძრაობის ტალღებში ადამიანები იბრძოდნენ სქესთა იურიდიული, სოციოლოგიური, პოლიტიკური თანასწორობისათვის.

დღეს თითქოს, ერთი შეხედვით, ჩვენს ყოველდღიურობაში, აღარ დგას იმის საჭიროება, რომ ვამტკიცოთ, "ქალებსაც შეგვიძლია", "ქალებსაც გვაქვს უფლება", მაგრამ სტატისტიკა, რეალური სურათი ყველაფერს სხვანაირად გვაჩვენებს. მდედრობით სქესს ხშირად მიაწერენ ,,ქალის კლასიკურ მახასიათებლებს", როგორიცაა მზრუნველობა, კეთილგანწყობა, გახსნილობა, პედაგოგიკა, მოსმენის უნარი და ა.შ. მაგრამ სხვა სფეროებში, მაგალითად , როგორებიცაა მეცნიერება, ინჟინერია, მენეჯმენტი, ტექნიკური მიმართულებები- ეს პროფესიები მამაკაცებთან ასოცირდება. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოში 2019-2020 წლებში ჩატარებული კვლევის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც პროფესორ-მასწავლებლების რიცხოვნობის 88% მდედრობითია. ამავე კვლევის ფარგლებში კარგად ჩანს, რომ ახალგაზრდების პროფესიულ არჩევანში ჯერ კიდევ დომინანტურია სტერეოტიპული შეხედულებები პროფესიის არჩევისას. როგორც აღმოჩნდა, გოგონები უფრო ხშირად სწავლას იწყებენ ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების, განათლების პროგრამებში. კაცები დომინირებენ საინჟინრო, საწარმოო და სამშენებლო მიმართულებებში[2].სასკოლო-საგანმანათლებლო ცხოვრებაში ხშირად იჩენს თავს გენდერთან დაკავშირებული პრობლემები. სამწუხაროდ, საგანმანათლებლო სფერო გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბების ერთ-ერთ

[1] de Beauvoir, Simone (1949),The Second Sex, Gallimard,ISBN 9782070205134.
[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.- http://www.geostat.ge/

კერად რჩება. მაშინ როდესაც, პოტენციურად, ადამიანს ყველაზე მეტი შანსი ცვლილებებისა და გარდაქმნების განსახორციელებლად, სტერეოტიპების დასამსხვრევად სწორედ სასკოლო-საუნივერსიტეტო სივრცეებში აქვს.

გენდერის დეკონსტრუქცია

ყველას გვსმენია გამონათქვამი- „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“ - რა არის დედობა, რომელთანაც ასე ხშირად იგივდება მასწავლებლის შრომა? რატომ მიეწერება ადამიანის პროფესიული არჩევანი ამა თუ იმ სქესს? უფრო სწორად კი რატომ ირჩევენ ადამიანები სტერეოტიპულ მიმართულებებს კარიერაში, რომლის გენდერული როლი საზოგადოებაში თითქმის უკვე ლინგვისტურ დონემდეა გამჯდარი. (მაგალითად, მედდა, ძიძა, დამლაგებელი, მასწავლებელი...) ალბათ, მოცემულ კითხვებზე პასუხი ადამიანის განვითარების საწყის ეტაპებზე უნდა ვეძებოთ. გაკვეთილებზე, რომლებშიც ტექნიკურ საგნებში ბიჭების უპირატესობას გავუსვამთ ხაზს. შესვენებაზე, როდესაც საკლასო ოთახების დასუფთავებას მხოლოდ გოგონებს, ბიჭებს კი მძიმე ნივთების გადაადგილებას ვთხოვთ; სპორტის გაკვეთილზე ფეხბურთის გუნდს მხოლოდ ბიჭებისათვის, გოგონებს კი ბადმინტონის სათამაშოდ დავყოფთ. ატირებულ ბიჭუნას ,,კაცი არა ხარ, ნუ ტირი" სიტყვებით დავამშვიდებთ და სკოლის დერეფანში მორბენალ გოგონებს "მეტი სინაზისაკენ" მოვუწოდებთ. მსგავსი ფრაზები, სამწუხაროდ, ისე ილექება მოზარდის ცნობიერებაში, ვერც კი ვხვდებით. შემდეგ უკვე ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე იჩენს თავს, მაგალითად პროფესიის არჩევისას, ოჯახის შექმნისა თუ შვილების აღზრდისას. თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ჩვენი ყოველდღიურობა სავსეა მსგავსი წარმოდგენებით მოზარდებზე, გენდერი კი სწორედ ასეთი ცხოვრებისეული პატრ-პატარა „წარმოდგენებისაგანაა“ კონსტრუქტივირებული. ჩვენი ლექსიკა, მიდგომები კი მსგავსი რეპლიკებითაა სავსე. ამერიკელი ფილოსოფოსი ჯუდიტ ბათლერი წერს „გენდერი, არავითარ შემთხვევაში არ არის დაკავშირებული მატერიალურ სხეულებრივ ფაქტებთან, არამედ არის მხოლოდ და მთლიანად სოციალური კონსტრუქცია, ფიქციაა“[3]. ნამდვილად, რადგან არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ტექნიკური თუ ჰუმანიტარული მიმართულება, ემოციურობა თუ ნაკლებად ემოციურობა, სინაზე თუ ბავშვის ცოცხალი ხასიათი, ეს ყველაფერი, ჰომო საპიენსის შინაგანი მახასიათებლებია და მის გარეგან დეფინიციას (ხშირ შემთხვევაში, კიდევ ინტერპრეტაციას), მხოლოდ და მხოლოდ ისევ ჩვენ, ადამიანები, ვახორციელებთ. მრავალი საუკუნის განმავლობაში, ლურჯწინდიანებს უწოდებდნენ იმ ქალებს, რომელთაც სურდათ მწერლობა, მეცნიერება, არქიტექტორობა, კარიერისათვის თავის მიძღვნა...ისტორიას ახსოვს

[3] Butler, Judith (2007). Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity. Routledge. p. v. ISBN 978-0-415-38955-6.

მრავალი ფაქტი, როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურაში ქალი მწერლებისა და პოეტებისა. ისინი საკუთარ ნაშრომებს მამაკაცის ფსევდონიმებით აქვეყნებდნენ. გავიხსენოთ დღემდე სადავო ფაქტი ლიტერატურის ისტორიაში ელენე დარიანის ლექსებთან დაკავშირებით. ან კიდევ ყველასათვის ცნობილი რომანი ,,ჯეინ ეარი", რომლის ავტორიც, შარლოტა ბრონტე, კაცის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაწარმოებს. ისტორიის განვითარებასთან ერთად ადამიანის წარმოდგენები, შეხედულებები, აზროვნება ვითარდებოდა, იცვლებოდა.

შესაბამისად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქალებისთვის ისეთი პროფესიების არჩევა, რომლებიც ადრე მიუღებელი და წარმოუდგენელი იყო საზოგადოებისათვის.

საკითხავია, როგორ მოხდა ისე, რომ წარმოუდგენელი გახდა შესაძლებელი?

ფასდაუდებელია წინა თაობების შრომა და ბრძოლა გენდერული პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. XIX საუკუნის 50-იან წლებში ამერიკაში დაწყებულმა ფემინისტურმა მოძრაობამ გავლენა იქონია ევროპაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე. დასავლეთში განათლების მისაღებად წასულმა ქართველმა ქალებმა, როგორებიც იყვნენ ბარბარე ჯორჯაძე, კატო მიქელაძე, ნინო ყიფიანი, ოლღა გურამიშვილი, ეკატერინე ნიკოლაძე, ეკატერინე მელიქიძე, ფეხი აუწყეს მიმდინარე პროცესებს. მათ შეძლეს საქართველოშიც შემოეტანათ ინოვაციური მიდგომები და დაენერგათ განათლებაში, პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ მათი დაუღალავი შრომით დაარსდა პირველი ქალთა გაერთიანება

„ქალთა ლიგა“ ; პირველი ფემინისტური გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა". საგულისხმოა, რომ მათი თაოსნობით დაფუძნდა არაერთი ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც ძირეულად შეცვალა და აამაღლა საზოგადოებრივი ცნობიერება.

უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი მასშტაბის ცვლილებები საჭიროა დღესაც. ის პოტენციალი და შესაძლებლობები, რაც სასკოლო და, ზოგადად, საგანმანათლებლო სივრცეებს გააჩნიათ, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. სტერეოტიპული შეხედულებები, რომლებიც არაჯანსაღ წარმოდგენებს უქმნის ახალგაზრდებს, კრიტიკული აზროვნებით უნდა იქნეს დაძლეული. თემურ სუყაშვილის სტატიაში ,,როგორ ვასწავლოთ გენდერი სკოლაში".[4] გვთავაზობს გენდერის დეკონსტრუქციის საინტერესო გზას. მისი მიგნებები ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ გენდერის გააზრების ინოვაციურ ხედვას გვიყალიბებს.

მსგავსი აღმოჩენებით მარტივი მისახვედრია, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს მზრუნველი, მოსიყვარულე, ენერგიული, მშენებელი, პროფესორი, მძღოლი, ძიძა და ა.შ. არ აქვს მნიშვნელობა მოზარდი , გოგო იქნება ის თუ ბიჭი, მსგავსი მიდგომებით ადვილად საკუთარ უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას და აქვს მზაობა თანასწორი მონაწილეობა მიიღოს პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მაია გაბრიჭიძე

ტყიბულის N4 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი და ტრადიციები

„მე ვერავის ვერაფერს ვასწავლი, მე მხოლოდ მათი დაფიქრება შემიძლია“ ამბობდა ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე. ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით როცა საქმე სკოლას და მოსწავლეებს ეხება. ადამიანი ყალიბდება იმ გარემოში, სადაც ის ცხოვრობს, იმის შედეგად რასაც ასწავლიან ან არ ასწავლიან, რასაც ხედავს და რაც მასზე გავლენას ახდენს. თუმცა, როცა ამ კუთხით ვმსჯელობთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ადამიანს არჩევანი არა აქვს. ადამიანს აქვს არჩევანი, ჩვენ შეგვიძლია რაღაც ეტაპზე ეს გავაცნობიეროთ და შევეწინააღმდეგოთ. რა თქმა უნდა, ადამიანი არ იბადება არც სექსისტად და არც ქალთმომძულედ, ამ ყველაფრის ჩამოყალიბება ხდება იმ გარემოში, სადაც ვიზრდებით. ამიტომ სკოლას და მასწავლებელს დიდი როლი ენიჭება მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში.

როგორია გენდერული თანასწორობა და რა როლს ასრულებს ტრადიციები ამ საკითხში. 2017 წლის მდგომარეობით, გენდერული თანასწორობა არის მეხუთე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზანში. გენდერული უთანასწორობა იზომება ყოველწლიურად გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის განვითარების ანგარიშების მიხედვით . .გენდერული თანასწორობა — ცნობილი როგორც სქესობრივი თანასწორობა ან სქესთა თანასწორობა, წარმოადგენს სქესის მიუხედავად რესურსებისა და შესაძლებლობების თანაბარ განაწილებას, მათ შორის ეკონომიკურ ჩართულობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსხვავებული ქცევის, მისწრაფებების და საჭიროებების თანაბრად დაფასებას. გენდერული თანასწორობა არის მიზანი, ხოლო გენდერული ნეიტრალიტეტი და გენდერული სამართლიანობა არის პრაქტიკა და აზროვნების მეთოდები, რომლებსაც მიზნის მიღწევისკენ მივყავართ. გენდერული პარიტეტი, რომელიც გამოიყენება მოცემულ სიტუაციაში გენდერული ბალანსის გასაზომად, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას. გაეროს ბავშვთა ფონდის განცხადებით, გენდერული თანასწორობა „ნიშნავს, რომ ქალები და მამაკაცები, გოგონები და ბიჭები ერთნაირი უფლებებით, რესურსებით, შესაძლებლობებით და დაცვით სარგებლობდნენ. არ მოითხოვს იმას, რომ გოგოები და ბიჭები, ან ქალები და კაცები, ერთნაირები იყვნენ, ან რომ მათ ზუსტად ერთნაირად მოეპყრონ.“ გლობალური მასშტაბით, გენდერული თანასწორობის მიღწევა ასევე მოითხოვს ქალთა და გოგონათა მიმართ მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას, მათ შორის სექსუალური ტრეფიკინგის, ფემიციდის, ომის დროს სექსუალური ძალადობის და ჩაგვრის სხვა ტაქტიკების ჩათვლით . გაეროს მოსახლეობის ფონდის

განცხადებით:

„მიუხედავად მრავალი საერთაშორისო შეთანხმებისა, რომლებიც ამტკიცებენ ადამიანის უფლებებს, ქალები კვლავ უფრო მეტი ალბათობით არიან ღარიბი და გაუნათლებელი ვიდრე მამაკაცები. მათ უფრო ნაკლები წვდომა აქვთ საკუთრების ფლობაზე, კრედიტზე, ტრენინგებსა და დასაქმებაზე. ისინი ბევრად უფრო ნაკლებ პოლიტიკურად აქტიურები არიან ვიდრე კაცები და ბევრად უფრო სავარაუდოა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იქნებიან.

ტრადიცია ლათინური სიტყვაა, ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობებზე გადაცემული წარმოდგენები, რიტუალები ,ადათები, წესები, ყოფაცხოვრების ნორმებია. ტრადიცია იქმნება მოცემულ პირობისა და დროის გამო. იქცევა საზოგადოების წესად, ნორმად, თავისებურ დაუწერელ კანონად. იცავს არა იურიდიული აქტები, არამედ საზოგადოებრივი აზრის ძალა. ზოგი მამაკაცი ფიქრობს რომ ტრადიცია მას აძლევს უფლებას ქალზე მაღლა იდგეს. დაქალების მიმართაც განსაკუთრებულად კრიტიკულები არიან. ქალების, მათი ქცევის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით, თავად ქალები არ ჩამორჩებიან მამაკაცებს, ხშირად უფრო მკაცრი და კრიტიკულებიც კი არიან. ასეთი იდეოლოგიებია ნაციონალიზმი, მილიტარიზმი, ტრადიციონალიზმი… თუ ქალი არ იქნება ამ იდეოლოგიების გამტარებელი, მარტივად რომ ვთქვათ, ის არ გადასცემს მათ მომავალ თაობას, რომელსაც, უმეტესწილად, სწორედ ქალი ზრდის. ამიტომ, ქალებზე ზეგავლენის მოხდენა და მათი მომხრობა, შეიძლება ითქვას, პირდაპირი ამოცანაა. შესაბამისად, ტრადიციების დამცველები, მამაკაცებთან ერთად, ძალიან ხშირად არიან ქალებიც. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქალები ილაშქრებენ ქალების წინააღმდეგ. მაგალითად, ახალგაზრდების მჩაგვრელები ხშირად ხდებიან უკვე ასაკოვანი ქალები. ქალი, რომელსაც ახალგაზრდობაში ხმის ამოღების უფლება შეზღუდული აქვს, ასაკთან ერთად სტატუსს იძენს, შესაძლებელია ოჯახის თავიც გახდეს და შემდეგ სწორედ ის ხდება ტრადიციების დამცველი და მასზე დაქვემდებარებული ქალის მჩაგვრელი. რძალ-დედამთილის ინსტიტუტი ამის ძალიან ნათელი მაგალითია.

რაც შეეხება ტრადიციებს – ტრადიცია არ არის მყარი და უცვლელი, ის რაც ყოველთვის იყო, არის და იქნება. ტრადიციები იცვლება იდეოლოგიების მიხედვით. ტრადიცია ძალიან მოხერხებული იარაღია იმისათვის, რომ მისი სახელით რაღაცას დაერქვას ბუნებრივი და შესაბამისად შემდეგ მოხდეს მისი გატარება ისე, რომ კითხვები არ დაისვას. ტრადიცია კარგი იარაღია მათ ხელში, ვისაც უნდა, რომ ამით გაამართლოს სხვებზე კონტროლი. ამ შემთხვევაში მამაკაცებისთვის, რომელთაც სურთ გაამართლონ ის წესრიგი, რაც დღეს არსებობს ოჯახში თუ ოჯახს გარეთ საქართველოში. პრობლემა რატომ არის, როცა ქალი არის ტრადიციების გამტარებელი და მომავალ თაობას იგივეს ასწავლის?! შეიძლება ბევრმა თქვას: ეს ხომ ასეც უნდა იყოს?! სწორედ ამაშია პრობლემა: ჩვენ ვთვლით, რომ ასეც უნდა იყოს, ქალს არ უნდა ჰქონდეს არჩევანი. ტრადიციულად, მას მიუჩენენ ადგილს, საიდანაც გამოსვლა აკრძალული აქვს.

ვგულისხმობ დიასახლისობას და დედობას. როდესაც ეს გაცნობიერებული არჩევანია, სხვა საკითხია, მაგრამ ძნელია არჩევანზე ლაპარაკი, როცა საქართველოში ჯერ კიდევ იმ ასაკში ქმნიან ოჯახებს, რომ შეუძლებელია ადამიანს გააზრებული ჰქონდეს ის პასუხისმგებლობები, შესაძლებლობები და არჩევანი, რაც მას აქვს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხანდახან არჩევანიც ძალიან პირობითი ცნებაა. შესაძლოა ეს არჩევანი ძალიან ბევრი ფაქტორით იყოს გამოწვეული და ეს ფაქტორებია სწორედ ის შეზღუდვები, ის წესები, რაც ჩვენ ჩაგვიბეჭდეს გაუცნობიერებლად. თუ კი ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ ქალი და კაცი უნდა იყოს თანასწორი და ქალს უნდა ჰქონდეს არჩევანი, მაშინ ნამდვილად დიდი პრობლემაა ქალისთვის ამ უფლების წართმევა. საქმე იმაშია, რომ ტრადიციული საზოგადოებისათვის კაცი და ქალი არ არის თანასწორი. ჩვენი საზოგადოება ჯერ არ შეთანხმებულა ამაზე და შემდეგი კითხვები სწორედ ამიტომ ჩნდება. არასწორია ვთქვა, რომ ეს არ იყო მათი არჩევანი. ის აზრი, რომ ღირებული მხოლოდ საჯარო სივრცეში აქტიურობაა, არასწორია, თუმცა ქალის საქმიანობას ოჯახში ღირებულება რომ არა აქვს, ეს ზუსტად იმ კულტურამ შექმნა, რომელმაც ქალი შეკეტა ამ წრეში, მიჩენილ კუთხეში და თან მისი საქმიანობა არ დააფასა. ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც ცოტა ხანი მაინც ყოფილა დაკავებული საოჯახო საქმით, იცის ეს რამდენად შრომატევადია. გულდასაწყვეტი სწორედ ის არის, რომ ამ შრომას დაფასება არა აქვს. ქალებს, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში უმძიმეს შრომას წევენ ოჯახში შვილებთან და არიან დიასახლისები, შაბათ-კვირას არავინ ასვენებთ. ქმარი ისვენებს შაბათ- კვირას, მაგრამ რადგან ქალის შრომას ოჯახში არ ჰქონდა ღირებულება ფულადი ანაზღაურების სახით, არ ითვლება, რომ მან არანაკლები დატვირთვით იშრომა. ეს ძალიან უსამართლო და არასწორი მგონია. თუმცა, მეორეს მხრივ, სხვაგვარ კულტურაში რომ გაზრდილიყო ქალი, რომელიც ამბობს, რომ ე.წ. დიასახლისობა მისი არჩევანია, მას შესაძლოა მხოლოდ ოჯახში არ დაენახა საკუთარი თავი. ირგვლივ თუ მიმოვიხედავთ, დავინახავთ, რომ რეალიზებულად და ბედნიერად ძალიან ცოტა ქალი გრძნობს თავს მხოლოდ ამ სივრცეში, რაც მაფიქრებინებს, რომ შეიძლება სხვა შემთხვევაში, სხვა არჩევანი გაეკეთებინათ. თუმცა, მე არც იმას ვთვლი, რომ აუცილებელია საჯარო სივრცეში საქმიანობა იმისთვის, რომ ქალმა (ან ნებისმიერმა ადამიანმა) რეალიზებულად იგრძნოს თავი. მე მხოლოდ მოცემული სინამდვილიდან ამოვდივარ – ბევრს ვიცნობთ ბედნიერ, ხალისიან და მომღიმარ დიასახლისს? თუ არა, მაშინ, რატომ გვგონია, რომ ქალისთვის უპირველესი ოჯახური კერის მოვლა– პატრონობაა? უმეტეს შემთხვევაში ეს როლი ვალდებულების და ტრადიციის სახით ერგება ხოლმე ქალს, თორემ, მე ვიცნობ ისეთ ქალებსაც, რომლებისთვისაც ოჯახი ინტელექტუალური საქმიანობის სივრცეც არის.

„მავნე ტრადიციული წეს-ჩვეულებები“ მიემართება ძალადობის ფორმებს, რომლებსაც იმდენად ხშირად ჩადიან გარკვეულ საზოგადოებებში, რომ კულტურულ პრაქტიკად ყალიბდებოდა და, ამ მიზეზით, საზოგადოებაში მიღებული ხდება. ასეთი ქმედებების მთავარი

მსხვერპლი ახალგაზრდა ქალები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცებიც შესაძლოა დაზარალდნენ. ასეთი ძალადობა იმ გარემოშიც ხდება, რომელშიც ქალებსა და გოგონებს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები აქვთ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის თანახმად: „ქალის გენიტალიების დასახიჩრება (FGM); ქალთა იძულებითი კვება; ადრეული ქორწინება; სხვადასხვა ტაბუები და პრაქტიკები, რომლებიც ხელს უშლის ქალს საკუთარი ნაყოფიერების კონტროლში; კვებასთან დაკავშირებული ტაბუები და ტრადიციული დაბადების პრაქტიკები; ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება და ამის შედეგები ქალიშვილის სტატუსზე; მდედრობითი სქესის ჩვილთა მკვლელობა; ადრეული ორსულობა; და მზითევის ფასი.“ ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭება ეხება ვაჟების კულტურულ უპირატესობას ქალიშვილებთან მიმართებით, და ვლინდება ისეთი პრაქტიკებით, როგორიცაა აბორტის სქესობრივი ნიშნით შერჩევითობა; მდედრობითი სქესის ჩვილთა მკვლელობა, ან მიტოვება; უყურადღებობა ან ქალიშვილების მიმართ ცუდად მოპყრობა. კვებასთან დაკავშირებული ძალადობა გულისხმობს ტაბუს გარკვეულ საკვებზე, რისი შედეგიცაა ქალთა არასათანადო კვება და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება, განსაკუთრებით, ორსულობისას. კასტური სისტემა ინდოეთში, რომელსაც მივყავართ ხელშეუხებლობასთან (ჯგუფის საზოგადოებიდან გარიყვის პრაქტიკა), ხშირად უკავშირდება გენდერულ დისკრიმინაციასაც და, შედეგად, ორმაგ დისკრიმინაციას, რომელსაც დალიტი ქალები აწყდებიან. 2014 წლის კვლევაში ინდოელების 27%-მა აღიარა ხელშეუხებლობის

პრაქტიკაში ჩართულობა. მშობიარობასთან დაკავშირებული ტრადიციული წეს-ჩვეულებები, ზოგჯერ, საფრთხეს უქმნის დედებს. აფრიკის ზოგიერთ ნაწილში მშობიარობას ტრადიციული მშობიარობის დამსწრენი ესწრებიან, რომლებიც, ზოგჯერ, ისეთ რიტუალებს ასრულებენ, რომლებიც საშიშია დედის ჯანმრთელობისთვის. მრავალ საზოგადოებაში მძიმე შრომა ცოლქმრული ღალატის ღვთიურ სასჯელად ითვლება და ასეთი ქალები ზეწოლასა და ძალადობას განიცდიან ღალატის „აღიარებისთვის“. ტომთა ტრადიციები მამაკაცებისთვისაც შეიძლება იყოს საზიანო; მაგალითად, სატერე-მეივეს ტომში პარაპონერა კალავატას (ტყვია-ჭიანჭველა) იყენებენ ინიციაციის რიტუალში. მამაკაცებს ათი წუთის განმავლობაში უნდა ეცვათ ასობით ტყვია-ჭიანჭველასგან ნაქსოვი ხელთათმანები: ჭიანჭველების ნაკბენი იწვევს მძიმე ტკივილსა და დამბლას. ეს ჩვეულება უნდა შესრულდეს ოცჯერ, რათა ბიჭები

„მეომრებად“ ჩაითვალონ.

სხვა მავნე ტრადიციული პრაქტიკები მოიცავს მოტაცებით ქორწინებას, რიტუალიზებულ სექსუალურ მონობას (დევადასი, ტროკოსი), მკერდის დაუთოებასა და ლევირატს ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება გაეროს მოსახლეობის ფონდი და გაეროს ბავშვთა ფონდი თვლიან, რომ ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება წარმოადგენს „ღრმად ჩასმული გენდერული უთანასწორობის გამოვლინებას. იგი მრავალი მიზეზის გამო კვლავ არსებობს. მაგალითად,

ზოგიერთ საზოგადოებაში ის ითვლება საჭირო რიტუალად. სხვებში ეს განიხილება, როგორც ქორწინების წინაპირობა. ზოგიერთ თემში - იქნება ეს ქრისტიანი, ებრაელი, მუსლიმი - ეს პრაქტიკა შეიძლება მიეკუთვნებოდეს რელიგიურ მრწამსსაც.“ სავარაუდოდ, 125 მილიონმა ქალმა და გოგონამ გაიარა სასქესო ორგანოს დასახიჩრება იმ ქვეყანაში, რომლის მონაცემები არსებობს. აქედან დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს ეგვიპტესა და ეთიოპიაში. ეს ყველაზე ხშირად ტარდება ახალშობილებსა და 15 წლამდე ასაკის გოგონებზე. ბავშვის ქორწინება ან იძულებითი ქორწინება გავრცელებულია აზიისა და აფრიკის ნაწილებში. დაზარალებულთა უმრავლესობა ქალია და 18-დან 23 წლამდე ასაკში. ამგვარმა ქორწინება შეიძლება მავნე ზეგავლენა იქონიოს გოგონების აღზრდაზე და განვითარებაზე და შესაძლოა გოგონები განიცდიდნენ სოციალურ იზოლაციას ან ძალადობას. ნაადრევი ქორწინების ტრადიცია საქართველოშიც აქვს ადგილი, განსაკუთრებით აზერბაიჯანელ ენოვან მოქალაქეებში. გენდერული უთანასწორობის მაჩვენებალია ტრადიცია მემკვიდრეობს ვაჟებზე გადაცემის ტრადიცია. მართალია საქართველოს კანონმდებლობით ქალს და მამაკაცს თანაბრად ეკუთვნის მემკვიდრეობა, მაგრამ გავრცელებული ტრადიციის მიხედვით ძირითადად მშობლების ქონება ვაჟებზე გადადის. ბევრ გოგონას ეს კანონი და ნორმა გონია.

პატარძლის ფასი (რომელსაც ასევე უწოდებენ პატარძლის ნიშანს) არის ფული, ქონება ან სხვა ფორმის სიმდიდრე, რომელსაც სიძე ან მისი ოჯახი უხდის პატარძლის მშობლებს. ეს ჩვეულება ხშირად გულისხმობს, რომ ქალებს ეკარგებათ კონტროლი მათ ნაყოფიერებაზე. მაგალითად, ჩრდილოეთ განაში, პატარძლის ფასის გადახდა გულისხმობს, ქალის მხრიდან აუცილებლობას შვილების გაჩენის შესახებ. ხოლო ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენებისას, ქალებს ემუქრებათ ძალადობა და რეპრესიები.

ბოლოს ისევ სოკრატეს დავესესხები, მასწავლებლები სვამენ კითხვებს და ეხმარებიან მოსწავლეებს პასუხის მოძებნაში, თუმცა სწავლა არ არის მხოლოდ სწორი პასუხების პოვნა, არამედ ისაა გზების სწავლება ,რომელსაც მივყავართ პასუხებამდე, ამიტომ ჩვენი, მასწავლებლების მთავარი დანიშნულებაა მოსწავლეები სწორ გზაზე დავაყენოთ, დავეხმაროთ თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაში და იმ დრომოჭმული ტრადიციებისგან გათავისუფლებაში, რომელიც იწვევს გენდერულ დისკრიმინაციას და საზოგადოების ღირსეულ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ნე გაზეთის სტატია „ტრადიცია, როგორც იარაღი ქალების წინააღმდეგ“: https://netgazeti.ge/opinion/72506/?fbclid=IwAR2dDas-c9wcv4xzSIkcZJJCEqOQLQTl-0xnZyWVCmjbtxmxBGD5xE0Eia4

რადიო თავისუფლების რუბრიკა „თავისუფალი სივრცე“ პუბლიცისტური სტატია, სოფიკო აბაშიძე, „ტრადიცია და ღირებულება“: https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-sopiko-abashidze-tradicia-da-ghirebuleba/26880378.html?fbclid=IwAR2IDhDuDoD9aTPcp2-G8M- NwlwApjt1NKIpbsOi1ySnBaEKqE1-de53FQQ~

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. (2004) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი, ტერმინი ტრადიციის განმარტება: http://dictionary.css.ge/content/tradition?fbclid=IwAR33o1W9epFnBa-92E2gDFycsn92EFXefcUh5GlxPy5-ncbysHfkrLxvCOo

ინტერნეტ პუბლიკაცია: რა არის ტრადიცია:
https://sites.google.com/site/kartulitraditsiebi777/videos?fbclid=IwAR2-cs3n8g_AD8uL0P2m2Zm71DYDZc1VYLNFiBNtqVz9LCYY216pY8Emz1Y.

Valerie Bryson, Feminist Political Theory: An Introduction, MacMillan, UK, 1992/ სტატია ქართულად თარგმნა თამარ ცხადაძემ, ხელმისაწვდომია წიგნში „გენდერი , კულტურა, თანამედროვეობა“, რედაქტორი ლელა გაფრინდაშვილი, თბილისი, 2007, გვ: 266 – 289).

თამარ პატარიძე
ტყიბულის N4 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

გენდერი (ინგლ gender,ლათ genus) სოციალურ მეცნიერებებში ადამიანის სქესობრივი კუთვნილების სოციო - კულტურული ასპექტის აღსანიშნავად გამოიყენება. ეს არის სოციალური სქესი, განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებით, გენდერი სქესის სოციალურ განზომილებას წარმოადგენს, რომელიც ასახავს მამაკაცად და ქალად ყოფნის თავისებურებებს ამა თუ იმ საზოგადოებაში.

თანამედროვე სახელმწიფოს ერთერთი უდიდესი გამოწვევა გენდერული თანასწორობაა. შესაბამისად დიდი ყურადღება ექცევა ქალთა აქტიურ ჩართულობას ყველა სფეროში. ნელნელა ირღვევა ე.წ „კაცის საქმეა“ „ქალის საქმეა“ დაყოფები. ორივე სქესი ხდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და შემდგარი პიროვნებები. თუმცა ძველი, პატრიარქატულ წყობაზე დამყარებული ტრადიციები, აზროვნება და გენდერული როლები იმდენად ღრმად არის სოციუმში გამჯდარი რომ მისი შეცვლა ძალიან რთულია.

თითქოს სქესი რაღაც ბარიერს ქმნის, საკუთარი მისწრაფებების განსახორციელებლად, რადგან სქესთან “შეუსბამო“ ქცევის, პროფესიის თუ ჩაცმის გამო ადამიანები ხშირად განიცდიან საზოგადოების წნეხს, რეალურად კი რა არის ქალის საქმე? ან კაცის საქმე?

ჩვენს საზოგადოებაში ხომ ჯერ კიდევ პატარა გოგონებს უნერგავენ იყონ დამთმობნი, ნაზები, მათ არ შეესაბამებათ ძალოსნური სპორტი. აჩვევენ აზრს რომ ქალის ბედნიერება და ერთადერთი როლი, ამ ცხოვრებაში, ოჯახი და შვილებია, შესაბამისად არ არიან ორიენტირებულნი თვითგანვითარებაზე. შედეგად კი ვიღებთ კაცზე დამოკიდებულ უბედურ ქალებს, რომლებიც სამწუხაროდ, მიუხედავად, თავიანთი ცხოვრებით ვერ კმაყოფილებისა, მათ გოგონებს კვლავ მშობლების მსგავსად ზრდიან. იქმნება ძალადობის მსხვერპლ უბედურ ქალთა ურღვევი წრედი, რომლის გარღვევაც თავად ჩვენ შეგვიძლია, იმის აღიარებით რომ გოგოდ ყოფნა ან ბიჭად ყოფნა ეს მხოლოდ სქეს განსაზღვრავს და ერთმანეთზე პრიორიტეტი არ არიან.

ვაჟებს მშობლები აჯერებენ, რომ კაცი არ უნდა იყოს ემოციური „ ნუ ტირი ქალი ხომ არ ხარ“. ასევე ასწავლიან, რომ კაცია ოჯახის უფროსი და მან უნდა განსაზღვროს ოჯახის წევრების ქმედებები, თავად კაცს კი ოჯახის რჩენა ევალება.

სტერეოტიპები

სოციუმში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები გვხვდება ყველგან. ერთ-ერთი ასეთი სტერეოტიპი „კაცის ტვინი მაინც სხვაა“ არის გოგონათა გონების მკვლელი, რადგან მათ უკვე თავიდანვე სჯერათ რომ ვერ ისწავლიან ვერ მიაღწევენ წარმატებას. უამრავი ადამიანი ამბობს მათემატიკას/ფიზიკას/ქიმიას კაცის ტვინი სჭირდება გოგონები კარგად ვერ სწავლობენო. რეალურად კი არცერთი კვლევა არ ადასტურებს ამას. ზუსტი მეცნიერებების შემსწავლელი გოგონები არანაირად არ ჩამორჩებიან ვაჟებს; მეტიც - ხშირად მათ უკეთესი აკადემიური შედეგები აქვთ.

ტუ იუიუ - ფარმაცევტი, ქიმიკოსი და მალარიოლოგი ქალი რომელმაც 2015წელს ნობელის პრემია დაიმსახურა მალარიის საწინააღმდეგო წამლის შექმნით.

კიზმიკია კორბეტი, ვირუსული იმუნოლოგი- აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის კორონა ვირუსის ვაქცინის და იმუნოპათოგენეზის გუნდის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მან სხვა მეცნიერებთან ერთად შექმნა ვაქცინა moderna.

ბარბარა მაკლინტოკი, ციტოგენეტიკოსი - მან დაადგინა თუ როგორ ააქტიურებს და პირიქით თიშავს მეზობელ გენებს გენეტიკური ელემენტების მოძრაობა ქრომოსომებში.

სიუზან ბენდ ჰოროვიცი - ბიოქიმიკოსი; სალი რაიდი - ასტრონავტი და ფიზიკოსი ის ყველაზე ახალგაზრდა ასტრონავტია რომელიც კოსმოსში გაემგზავრა.

იზაბელა ანკიანბა კუაკი - იმუნოლოგი, მან 40 წლიანი კარიერა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა.

ვერა რუბინი - ასტრონომი,

ქართველი ქალი მეცნიერები: თამარ მხეიძე, გურანდა ღვალაძე, ეთერ ქემერტელიძე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ვიცით, რომ უამრავი დიადი აღმოჩენა მამაკაც მეცნიერებს ეკუთვნით: მენდელის გენეტიკა, უოლტსონი და კრიკი, ვილმუტის კლონირება და ა.შ. დღეს კი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე უმეტესად გოგონები სწავლობენ. მაგ. 2016წ. ა.წერეთლის უნივერსიტეტში 60 ბიოლოგიის სტუდენტებიდან მხოლოდ 4 ბიჭი იყო. ვფიქრობ რომ ესეც სოციუმის არასწორად ჩამოყალიბებული შეხედულების შედეგია.

როდიდან უნდა ჩამოუყალიბოთ ბავშვებს სწორად გენდერი?

ბავშვი თავის სქესით 2 წლიდან ინტერესდება, 3-4 წლიდან კი ხდება გენდერთან იდენტიფიკაცია გოგონა ბაძავს დედას, სწავლობს მის ქცევებს სოციუმში. ვაჟი კი ბაძავს მამას და სწავლობს მის როლს. ამიტომ მნიშვნელოვანია მცირე ასაკიდან ბავშვმა სწორად გააცნობიეროს საკუთარი იდენტობა. სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დავიწყოთ სწორი თეორიებისა და ქცევების ჩვენება ბავშვებისათვის. მშობლის შემდეგ უდიდესი მნიშვნელობა ბავშვის აღზრდაში უკავია

ბაღს და სკოლას ვინაიდან მცირეწლოვანი იქ ატარებს დროის უდიდეს ნაწილს, მასწავლებელი ხშირად მისი ავტორიტეტია. ამიტომ ახალი თაობისათვის ახალი ფასეულობების ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ მათი ავტორიტეტების ფასეულობების შეცვლით ყველა სააღმზრდელო დაწესებულების წარმომადგენლები უნდა იზიარებდნენ გენდერული თანასწორობის იდეას, თავად ბელა რუბის სიტყვებია „ არ არსებობს მეცნიერებაში ისეთი საკითხი, რომლის გადაჭრაც კაცს შეუძლია, ქალს კი არა“.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში უდიდეს აღმოჩენებს ორივე სქესი იყოფს. დღევანდელი გენდერული უთანასწორობა კი მხოლოდ და მხოლოდ სოციუმში გავრცელებული სტერეოტიპებიდან გამომდინარეობს რომლის შეცვლაში უდიდესი როლი გვაქვს პედაგოგებს.

გამოყენებული ლიტერატურა

https://on.ge/story/77341-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1

ლილი შუბლაძე
ქუთაისის N2 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი და ტრადიციები

გენდერული თანასწორობის საკითხი დღეს დიდი აქტუალობით სარგებლობს, ამ კუთხით უამრავი პრობლემაც არსებობს, რაც ხშირად საზოგადოებაში დესტაბილიზაციის მიზეზი ხდება. უპირველეს პრობლემად შეგვიძლია მივიჩნიოთ გენდერის მცდარი აღქმა, რასაც საფუძველს არასწორი ტრადიციული შეხედულებებიც უქმნის.

მავანთ ხშირად ერთმანეთში ერევათ სიტყვები ,,სქესი" და ,,გენდერი", ალბათ მნიშვნელოვანია ამ კუთხით ცნობადობის ამაღლება საზოგადოებაში და მკაფიო განმარტება იმისა, რომ სქესი გულისხმობს ბიოლოგიურ განსხვავებას ქალსა და მამაკაცს შორის, ხოლო გენდერი- მამაკაცისა და ქალის სოციალური დანიშნულების, მათი როლების, ვალდებულებების შესახებ წარმოდგენებთან არის დაკავშირებული.

თუ გადავხედავთ საქართველოს წარსულს, ჩვენი ქვეყნისათვის გენდერული თანასწორობის პრინციპი უცხო არასოდეს ყოფილა, ამისათვის თამარის მეფობის გახსენებაც კმარა, რამაც შოთას უკვდავ პოემაში დიდებული ასახვა ჰპოვა, თუნდაც ამ ერთი აფორიზმის სახით:- ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია". ასე ვვაზროვნებდით მე-12 საუკუნეში და თითქოს გასაკვირიც უნდა იყოს თანამედროვეობაში, ამ კუთხით პრობლემების არსებობა. თუმცა, პრობლემამ თავი თამარის ეპოქაშიც იჩინა, მეფის წინაშე გამოსვლას და სამეფო უფლებების შეზღუდვის მოთხოვნას საფუძვლად ისევ მდედრობითი სქესის მეფობა ედო. ვიწრო საზოგადოება ქვეცნობიერში ეწინააღმდეგებოდა უპრეცენდენტო მოვლენას, მეფე ქალს. მიუხედავად ამისა, იგივე ეპოქა კიდევ ერთ, გენდერული თანასწორობის, მკაფიო მაგალითს გვთავაზობს, რაც ზემოაღნიშნულს აბალანსებს და თვალნათლივ გვაჩვენებს, სიახლის მიმღებლობის კულტურას. თამარის მიერ მედიატორებად ქალბატონების: -კრავაი ჯაყელისა და ხვაშაქ ცოქალის შერჩევა შედეგიანად დასრულდა. რამაც ერთგვარად დააფასა ქალის შესაძლებლობები. ამ კუთხით, ჩვენი წარსულიდან, ნათელ მაგალითს წარმოადგენს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკაც. დამფუძნებელთა კრების წევრი არაერთი ქალბატონი იყო, მაშინ როცა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ამ მხრივ დიდი პრობლემები არსებობდა. მაგრამ ეს მხოლოდ წარსულია... დღევანდელობა კი - დამაფიქრებელი. და მაინც ვფიქრობ, რომ გენდერულ უთანასწორობას, ქალთა უფლებრივ შეზღუდვასა თუ ჩაგვრას , წარსულიდან მოსდგამს ფესვები, ალბათ სწორედ იმ პერიოდიდან, როცა ქართული ტრადიციები ყალიბდებოდა და შემდეგ ეს ტრადიცია დამახინჯებული სტერეოტიპის სახესაც იღებდა, მაშინ როცა, ქალს სუსტი სქესის

წარმომადგენელი უწოდეს და ამ ნიშნით სოციალურ ცხოვრებაში ბევრი რამ ეკრძალებოდა, როცა, ქართულმა ოჯახებმა ქალის მთავარ მოვალეობად საოჯახო საქმეების მოწესრიგება მიიჩნიეს და გოგონებს ბავშობიდანვე, მამაკაცის უსიტყვო მორჩილებას უნერგავდნენ, როცა ქალისათვის მზითევის გატანების ტრადიცია ჩამოყალიბდა და ქმრის ოჯახში მისულ ქალს საკუთარი უფლებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად და ადგილის საპოვნელად, წინასწარ მკაცრად გაწერილი ნივთების გროვა უნდა მიეტანა, ამ ყველაფრით კი მამაკაცი ფრიად ამაყი და კმაყოფილი იყო. ქორწინებისა და მზითევის ტრადიციას თან ახლდა, პატარძლისათვის სახელის შეცვლა (გადმოცემის მიხედვით, სამეგრელოში ხდებოდა ასე),რაც ერთგვარ დაკნინებასაც წარმოადგენდა მდედრობითი სქესისა და ახალი ცხოვრების დასაწყისით ინიღბებოდა აღნიშნული ქმედება. ქვეტექსტი კი, საკმაოდ ღრმა იყო, ღრმა და უთანასწორობის წამხალისებელი. ან კიდევ მაში, როცა ქართულმა ოჯახებმა გადაწყვიტა მემკვიდრეობის გადაცემისთვის საკუთარი წესი შეექმნათ, რასაც შემდეგ ტრადიცია ეწოდა და ამ ტრადიციის თანახმად, ოჯახი სახლ-კარს მხოლოდ ვაჟიშვილს უტოვებდა, ქალი უგულებელყოფილი რჩებოდა, მემკვიდრეობის უფლების გარეშე. ამ ყველაფერმა კი იქამდე მიგვიყვანა, რომ გოგონა არასასურველ შვილად აღიქმებოდა და მას, ხშირ შემთხვევაში, მუცლად ყოფნის პერიოდშივე ასრულებინებდნენ არსებობას, მხოლოდ სქესის გამო და ეს მანკიერი ხედვა , სამწუხაროდ დღესაც აქტუალურია. მსგავსი ტრადიციები თუ სტერეოტიპები ქართულ პედაგოგიკასაც ,,ამშვენებდა“ და არც ჩვენს ერაშია სრულად თავისუფალი აღნიშნული გავლენისაგან. ,, გოგოა და მათემატიკა უჭირს“, ,, სპორტი გოგოს საქმე არ არის“, ,,ბიჭი რომ იყოს, მათემატიკაში კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა“, ,,პედაგოგობა ქალის საქმეა“, ,,ვარდისფერი გოგოს ფერია, ლურჯი კი-ბიჭის“...-ეს ის გულისმომკვლელი ფრაზებია, რომელმაც სიმყარე წარსულშივე მოიპოვა და ამ სტერეოტიპული ხედვით თითქოს დაყოფაც მოხდა პროფესიების, ფერების... და ეს უკანასკნელი არასრულწლოვნებში (არამარტო!) ხშირად კამათის საფუძველიც ხდება. ზემოაღნიშნულმა, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს, სრულფასოვან პიროვნებებად აღქმის უნარი შეურყია, მამაკაცი კი, ძლიერი სქესის პიროვნებად ,,ჩამოაყალიბა“, რომლის ძალაც განუსაზღვრელია, თუნდაც ქალის დაკნინების ,,საქმეში“. ამჟამინდელი და მომავლის სიჯანსაღისათვის, სწორი ღირებულებებით აღზრდილ-აღჭურვილი თაობაა საჭირო, რომელიც ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებს ,,განურჩევლად სქესისა...“ ყველა ტრადიცია, რომელიც სწორ ხედვასთან წინააღმდეგობაში მოდის გადასაფასებელია, გენდერული ბალანსი კი დასაცავი. სად მდებარეობს ხსნა? პასუხი ცალსახაა- განათლებაში! თითოეული პედაგოგისა თუ მშობლის ვალია, მომავალი ჯანსაღი ინფორმაციით, ტრადიციით და სწორი ხედვებით ასაზრდოოს. სტერეოტიპული აზროვნება და ტოქსიკური ტრადიციები, რომელიც გონებას თავისუფლად აზროვნების უნარს უკარგავს, ზღუდავს და უხეშ ჩარჩოებს უწესებს, დასაგმობია. სწორად აღზრდილი თაობები, კი თანასწორი, მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე, მყარი და ცოდნით აღჭურვილი მომავლის გარანტია.

ირმა გვაჭლიანი
ქუთაისის აკაკი წერეთლის N1 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი და მრავალფეროვნება

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო! ამ შეკრებაზე განვიხილავთ გენდერსა და მის მრავალფეროვნებას. მარტივად რომ ვთქვათ, „გენდერი“ არის ჩვენი - როგორც ქალებისა და მამაკაცების იდენტობის სოციალური ასპექტი: ის თუ როგორი ჩაცმულობის სტილს ვირჩევთ, როგორ ვიქცევით საჯარო სივრცეში, როგორ ვურთიერთობთ იგივე და განსხვავებული ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებთან, რა როლები გვაქვს ოჯახში, რა მოლოდინები გვაქვს ჩვენი ცხოვრების მიმართ. თითოეულს ვითვისებთ ჩვენი კულტურიდან, საზოგადოებიდან და იმ გამოცდილებებიდან, რომელიც „ტიპიურ ქალად“ ან „ტიპიურ მამაკაცად“ ყოფნასთან ასოცირდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შესაძლოა, ყველა ადამიანისთვის ერთნაირი არ იყოს, მათი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი „ტიპიური ქალის“ ან „ტიპიური მამაკაცის“ გამოცდილება. ბევრი ადამიანი ვერ ახერხებს იდენტიფიცირებას, მოცემული ორგვარი კატეგორიიდან - ვერც ერთიდან. ყველა კულტურაში არსებობს გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ნორმები, მისაღები ქცევა და ტრადიციები. ეს გავლენას ახდენს იმაზე თუ როგორ აღვიქვამთ საკუთარ თავს და როგორ გვხედავენ სხვები.

რა იგულისხმება მრავალფეროვნებაში? ადამიანებს, რომელთაც მრავალი სახის სოციალური განსხვავებები აქვთ, თითოეულ მათგანს სხვადასხვანაირად განიცდიან. განსხვავებები მხოლოდ სიის ნაწილი კი არ არის, არამედ თითოეული მათგანი ერთმანეთზეც ახდენს გავლენას. მაგალითად, ორ თხუთმეტი წლის გოგონას, რომლებიც ერთ კლასში სწავლობენ და ცხოვრობენ ქვეყანაში, სადაც უმრავლესობას ქრისტიანები წარმოადგენენ, ერთნაირი მოზარდობის ასაკის გამოცდილება ვერ ექნებათ, თუ ერთი მათგანი



ქრისტიანია, ხოლო მეორე მუსლიმი. ეს ცნობილია, როგორც ინტერსექტორული მიდგომა. ინტერსექტორული მიდგომა 4 საშუალებით ხდება, სხვადასხვა სახის დისკრიმინაციისა და ჩაგვრის შედეგების, ურთიერთმიმართებისა და გავლენის კომპლექსური აღქმა.

წარსულში სხვადასხვა კულტურაში არსებობდა ზღვარი ქალისა და კაცის უფლებებს შორის. მაგალითისთვის მოვიყვან მე-5 საუკუნის იაკობ ცურტაველის (ხუცესის) ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს ,,შუშანიკის წამება'', რომელშიც თვალნათლივ ჩანს, რომ ჯერ კიდევ მე-5 საუკუნის საქართველოში ქალთა უფლებები არ იცნობოდა. მაგალითად, ქალსა და მამაკაცს არ შეეძლოთ სუფრასთან ერთად ჯდომაც კი: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ - ამბობს ცურტაველი.

თამარ მეფის გამეფების პერიოდს. იმ დროს ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა ქალთა გამეფების ტრადიცია, ამიტომ გიორგი III-მ ვაჟის არყოლის გამო გადაწყვიტა, რომ სიცოცხლეშივე გაემეფებინა თამარი, მის აზრს ვერავინ შეეწინააღმდეგა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ არისტოკრატიამ საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა თამარ მეფის მიმართ. ის კი იძულებული გახდა, რომ წამოყენებული პირობები შეესრულებინა და დათმობაზეც წასულიყო. ამასთანავე დიდებულთა ნაწილი ფიქრობდა, რომ მეფედ ქალი არ გამოდგებოდა და სამეფოს საქმეები უკან წავიდოდა, თავისთავად შეცდნენ, ვერ შეაფასეს თამარი. რუსთველისეული აფორიზმი, – "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია", – დიდი ხნის მანძილზე "ვეფხისტყაოსნის" ავტორის მხოლოდ გენდერული, ფემინისტური თანასწორობის შეგნების გამომხატველ, ქართული იდეოლოგიისა და ტრადიციის "პროგრესულობის", "დემოკრატიულობის" დამამტკიცებელ საბუთად ცხადდებოდა.



კულტურაში გენდერული თანასწორობის დარღვევის მაგალითზე ასევე შეიძლება მოვიყვანოთ საუდის არაბეთი. ამ ქვეყანაში ხშირი იყო და არის ქალთა უფლებების დარღვევა, მაგრამ ასევე დარღვეული იყო ახალგაზრდა ბიჭების უფლებებიც, ამას ვიგებთ ზღაპარ ,,ათას ერთი ღამიდან''. რამდენიმე წლის წინ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული იყო სტატია, სადაც ეწერა რომ არაბ კაცს შეეძლო ცოლის მოკვლა, ამისთვის კი არც გასამართლდებოდა და არც დაისჯებოდა. ქალთა ჩაგვრაზე ხმის ასამაღლებლად ერთ-ერთმა მწერალთა ჯგუფმა ,,ცხოვრება-ქალების კალმით'' დაწერა ნაწარმოები ,,სუადი-ცოცხლად დამწვარი''. ამ წიგნში ყურადღება გამახვილებული არის არაბეთის ერთ დასახლებაში მცხოვრები გოგონას ცხოვრებაზე, რომელსაც საკუთარი ოჯახი ამცირებდა იმის გამო, რომ გოგოდ დაიბადა.

მუსლიმი აპოლოგეტები გვიხატავენ იდეალურ დამოკიდებულებას ქალებისადმი ისლამში, რაც რა თქმა უნდა სიმართლის დაფარვის მცდელობაა და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. რეალობა არის შემდეგი: ყურანი ნებას რთავს ქმარს, რომ სცემოს ცოლი! ასევე ისლამში კაცი ქალზე აღმატებულია.

სურა 4:34 "ქმრები მეურვეები არიან ცოლების იმ ვითარების გამო, რომლითაც ალაჰმა უპირატეს ჰყო ერთი - მეორისგან, რადგან ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან. ხოლო პატიოსანი ქალები, მორჩილნი (ერთგულნი) არიან თავიანთი ქმრების და ქმრების არყოფნის დროს ისე იცავენ იმათ უფლებებს, როგორც ალაჰმა დაუწესათ. და რომელთა ურჩობასაც შიშობდეთ, იმ ქალებს შეაგონეთ, მერე მიატოვეთ სარეცელში და მსუბუქი ცემა აგემეთ."

უფრო მეტიც, 2010 წლიდან საუდის არაბეთში გამოჩნდა ისლამური ეტიკეტის წიგნები. ამ წიგნების ავტორები გვიხსნიან, თუ როგორი ცოლი იმსახურებს ცემას, რით უნდა ვცემოთ იგი, სად უნდა მივაყენოთ დარტყმები და რა უნდა ველაპარაკოთ მას ცემის დროს. მაგალითად ჰასან აშა - ავტორი წიგნისა "ქალთა მორჩილება ისლამში" წერს, რომ ქმარს აქვს უფლება ფიზიკურად დასაჯოს ცოლი შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ ის წინააღმდეგია გააკეთოს, ის რაც ქმრისთვის მიმზიდველია.
2. თუ ის წინააღმდეგია დაკმაყოფილოს ქმრის სექსუალური მოთხოვნილებები.
3. თუ ის სახლიდან გადის ქმრის ნებართვის გარეშე.
4. თუ ის უგულებელყოფს რელიგიურ მოვალეობებს.
5. დასჯის იარაღი - ჯოხი, უნდა იდოს გამოსაჩენ ადგილას, რომ თქვენი ცოლი ყოველთვის ხედავდეს მას.

ეს შეხედულება სავსებით ეწინააღმდეგება ,,სტამბულის კონვენციის მე-17 მუხლი დოკუმენტების კრებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის თემას''.

ქალთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ იბრძოდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ქალბატონები.

კლარა ცეტკინი იყო გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მონაწილე, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქალთა უფლებების დამცველი. ის გადასახლებული იქნა. 1890 წელს ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, სათავეში ჩაუდგა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ ქალთა მოძრაობას. ცეტკინის ინიციატივით 1907 წელს მოიწვიეს I საერთაშორისო ქალთა კონფერენცია. ცეტკინი აირჩიეს საერთაშორისო ქალთა სამდივნოს მდივნად. 1910 წელს, კოპენჰაგენში სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე ცეტკინის წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის დაწესების შესახებ.

ოლიმპია დე გუჟი - ფრანგი მწერალი, რევოლუციონერი, ,,ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაციის'' ავტორი. მას ეკუთვნის სიტყვები ,,თუ ქალს აქვს უფლება, ავიდეს ეშაფოტზე, ტრიბუნაზე ასვლის უფლებაც უნდა ჰქონდეს''.

ოლიმპია დე გუჟი, ყასბის ქალიშვილი, ავტორია რამდენიმე პამფლეტისა გენერალური შტატების შეკრებამდე (1789). თავის ნაშრომში ოლიმპია წერს, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში (რომლის სათაურის სიტყვასიტყვითი თარგმანია „მამაკაცისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია" – Declaration of Rights of Man and Citizen), არ არის გათვალისწინებული ქალთა უფლებები. იგი სთავაზობს საფრანგეთს, მიენიჭოთ ქალებს ხმის მიცემის უფლება, მოითხოვს ქალთა ეროვნული კრების შექმნას, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მამაკაცებმა არ უნდა დაჩაგრონ ისინი და ხაზს უსვამს ქალთა განათლების საკითხს.

ოლიმპია საზოგადოების ქალთა უფლებებისკენ ყურადღების მიპყრობას ცდილობდა, რადგან რევოლუციას ქალისა და მამაკაცის უფლებრივი გათანასწორება არ მოჰყოლია.

1791-1793 წლებში პარიზში არსებობდა რესპუბლიკელ ქალთა პოლიტიკური კლუბი, რომელიც მხარს უჭერდა ქალთა პოლიტიკურ თანასწორობას. ისინი დამფუძნებელი კრების დასახმარებლად აგროვებდნენ საწევრო გადასახადსაც. სწორედ ამ კლუბში წაიკითხა პირველად ოლიმპია დე გუჟმა ,,ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია''.

ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია

მამაკაცებო, ხართ თქვენ სამართლიანები? დიახ, ქალი გეკითხებათ ამას! თქვენ არ გაქვთ უფლება, ქალი საკუთრებად განიხილოთ და უფლებები შეულახოთ. მითხარით, რა გაძლევთ ჩემი უფლებების შეზღუდვის უფლებას? თქვენი ძალა? თქვენი ნიჭი? დავაკვირდეთ შემოქმედის სიბრძნეს, შევინარჩუნოთ მისი დიდმშვენიერება, ვიცხოვროთ სამყაროში ჰარმონიულად და არა ტირანულად. დავუბრუნდეთ ცხოველთა სამყაროს, ვიკვლიოთ მცენარეები, თვალი გადავავლოთ ორგანული მოდიფიკაციის საფუძვლებს და დავამარცხოთ ის. ამას მე გთავაზობთ. თუ შეგიძლიათ, გამოიკვლიეთ, გამოიძიეთ და, გნებავთ, განასხვავეთ კიდეც სქესი ბუნებასა და სამყაროში, – ყველას თანაარსებობის კონტექსტში იპოვით, ყველა ჰარმონიულად თანაცხოვრობს, როგორც რომელიმე უკვდავი შედევრი.

მამაკაცები აღზევდნენ განსაკუთრებულ და პრინციპულ გარემოებათა გამო. უცნაური, ბრმა, გადაგვარებული განმანათლებლობისა და სიბრძნის ეპოქაში გადამეტებული იგნორით მას სურს, დესპოტურად მართოს მდედრი, არადა ეს ქალი მისი ინტელექტუალური საკუთრების სრულ განკარგულებაშია; მამაკაცს ურჩევნია, ჩაებას რევოლუციაში და იბრძოლოს თანასწორობისა და უფლებების გათანაბრებისთვის, მაგრამ ამავე დროს არაფერი თქვას ქალის შესახებ, სრულიად არ გაითვალისწინოს ეს საკითხი.

ქალთა და მდედრ მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია

დეკლარაცია უნდა იქნეს მიღებული ეროვნული ასამბლეის (კრების) დადგენილებით მის ბოლო სხდომებზე ან მომდევნო საკანონმდებლო ორგანოში.

პრეამბულა

დედებო, ქალიშვილებო, დებო და ერის წარმომადგენლებო, რომლებიც ითხოვენ, დაინიშნონ ეროვნულ კრებაში. იგნორირება უცოდინრობის, უმოქმედობის ქალთა უფლებების შესახებ არის მიზეზი მხოლოდ ხალხის უბედურებისა და მთავრობის კორუმპირებულობისა; ქალმა გადაწყვიტა, ჩამოეყალიბებინა საზეიმო დეკლარაცია ბუნებრივი, განუყოფელი და ქალთა წმინდა უფლებებისა იმისათვის, რომ ამ დეკლარაციას აქამდე მუდამ დაუცველი საზოგადოების ყველა წევრისთვის განუწყვეტლივ შეეხსენებინა თავიანთი უფლებები და მოვალეობები; იმისათვის, რომ ავტორიტეტული ქალებისა და მამაკაცების აქტები ნებისმიერ მომენტში შეედარებინათ და პატივი ეცათ ნებისმიერი პოლიტიკური ინსტიტუტის მიზნისთვის; იმისათვის, რომ ამიერიდან მოქალაქეების მარტივ და უდავო პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნები ყოველთვის მხარს დაუჭერს კონსტიტუციას, სწორ მორალსა და საყოველთაო ბედნიერებას.



DÉCLARATION DES DROITS DE LA FEMME ET DE LA CITOYENNE,

A décréter par l'Assemblée nationale dans ses dernières séances ou dans celle de la prochaine législature.

PRÉAMBULE.

Les mères, les filles, les soeurs, représentantes de la nation, demandent d'être constituées en assemblée nationale. Considérant que l'ignorance, l'oubli ou le mépris des droits de la femme, sont les seules causes des malheurs publics et de la corruption des gouvernemens, ont résolu d'exposer dans une déclaration solemnelle, les droits naturels, inaliénables et sacrés de la femme, afin que cette déclaration, constamment présente à tous les membres du corps social, leur rappelle sans cesse leurs droits et leurs devoirs, afin que les actes du pouvoir des femmes, et ceux du pouvoir des hommes pouvant être à chaque instant comparés avec le but de toute institution politique, en soient plus respectés, afin que les réclamations des citoyennes, fondées désormais sur des principes simples et incontestables, tournent toujours au maintien de la constitution, des bonnes moeurs, et au bonheur de tous.

En conséquence, le sexe supérieur en beauté comme en courage, dans les souffrances maternelles, reconnaît et déclare, en présence

შესაბამისად, სქესი, რომელიც ისეთივე ზემდგომია სილამაზეში, როგორიც გამბედავი დედობრივი განსაცდელის დროს, ცნობს უზენაესის მფარველობაში ყოფნას და აცხადებს ქალთა და მდედრ მოქალაქეთა უფლებებს.

მუხლი I

ქალი დაიბადა თავისუფალი და ცხოვრობს მამაკაცის თანასწორად მისი უფლებების გათვალისწინებით. სოციალური განსხვავება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ საერთო შეთანხმებაზე.

მუხლი II

ნებისმიერი პოლიტიკური ასოციაციის მიზანია კომუნიკაცია ქალსა და მამაკაცს შორის ბუნებრივი და ხელშეუვალი უფლებების ფონზე. ეს უფლებები არის ქონების ხელშეუხებლობა, უსაფრთხოება და განსაკუთრებით ოპოზიციის წინააღმდეგობისგან დაცვა.

მუხლი III

სუვერენობის ყველა პრინციპი ეკისრება ერთადერთს – ერს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ერთობა ქალებისა და მამაკაცებისა; არავის შეუძლია განახორციელოს რომელიმეს უპირატესობა, თუ ეს არ მოდის მთელი ერისაგან.

მუხლი IV

თავისუფლება და სამართლიანობა შეადგენს იმას, რაც ეკუთვნის სხვას... ამგვარად, ერთადერთი ლიმიტი ქალთა უფლებებისა არის მუდმივი მამრობითი ტირანია. ეს შეზღუდვები უნდა რეფორმირდეს კანონზომიერად.

მუხლი V

ბუნების კანონზომიერებისთვის საჭიროა განიდევნოს საზოგადოებისთვის საზიანო ყველა აქტი. ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული ამ ბრძნული და ღვთაებრივი კანონებით, ვერ აღიკვეთება. ვერავის შევზღუდავთ, რომ გააკეთოს ის, რაც არ არის ნაბრძანები.

მუხლი VI

კანონით უნდა გამოხატო მთავარი სურვილი; ყველა ქალმა და მამაკაცმა მოქალაქემ პირადად თუ ვინმეს მეშვეობით უნდა შეიტანოს წვლილი კანონის შექმნაში. ეს ყველას თანაბრად უნდა ეხებოდეს.

ქალი და მამაკაცი მოქალაქეები, არიან რა თანასწორნი კანონის წინაშე, უნდა იყვნენ

თანასწორნი ასევე პატივის მიღებისას, დაჯილდოებისას, პოზიციისას, საჯარო საქმიანობისას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით და არა განსხვავებით.

მუხლი VII

არც ერთი ქალი არ არის გამონაკლისი; ის დაკავებულ, დატყვევებულ უნდა იქნეს კანონის მიხედვით. ქალი, როგორც მამაკაცი, მკაცრად უნდა იცავდეს ამ უფლებებს.

მუხლი VIII

კანონი უნდა ამკვიდრებდეს მხოლოდ იმ მკაცრ სასჯელს, რომელიც აშკარად აუცილებელია.

მუხლი IX

მას შემდეგ, რაც ქალი აღიარებულ იქნება დამნაშავედ, მის მიმართ კანონი უნდა შესრულდეს ისევე, როგორც მამაკაცისადმი.

მუხლი X

არავინ უნდა დაისაჯოს აზრის გამოთქმისთვის; ქალს აქვს თანასწორი უფლება, მონაწილეობა მიიღოს დემონსტრაციებში, პროტესტებში, თუ ამით არ ხელყოფს სხვის უფლებებს.

მუხლი XI

თავისუფალი კომუნიკაცია, აზრის გამოხატვა ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა იმ დროიდან, რაც თავისუფლებამ ირწმუნა, რომ მამაკაცებს უნდა ეღიარებინათ თავიანთი ბავშვები. ამგვარად, ნებისმიერ მდედრ მოქალაქეს შეუძლია თამამად თქმა იმისა, რომ იგი არის ბავშვის დედა და ბავშვი მას ეკუთვნის. ქალს არ მოუწევს სიმართლის დამალვა (გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია), რათა თავი აარიდოს ცუდად მოპყრობას, რომელიც კანონით გათვალისწინებულია.

მუხლი XII

ქალთა და მდედრ მოქალაქეთა უფლებების გარანტია მთავარი ფასეულობაა; ეს გარანტია უნდა წარმოადგენდეს ფასეულობას ყველასათვის და არა მხოლოდ მათთვის, ვინც ამ გარანტიებით დაინტერესებულია.

მუხლი XIII

ქალისა და მამაკაცის წვლილი თანასწორია საზოგადოებრივ ძალასა და ადმინისტრაციულ ხარჯში. ქალი იზიარებს ყველა მოვალეობას და მძიმე სამუშაოს. ამრიგად, ქალსა და მამაკაცს თანასწორად უნდა გაუნაწილდეთ პოზიციები, სამუშაოები, ოფისები და პატივი.

მუხლი XIV

მდედრობითი და მამრობითი სქესის მოქალაქეებს უფლება აქვთ, თავად ან მათი წარმომადგენლების მეშვეობით დაამტკიცონ საჯარო წვლილში დახმარების აუცილებლობა. ეს ეხება მხოლოდ იმ ქალებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ არა მარტო ქონების თანაბარი წილი, არამედ საჯარო ადმინისტრაციის ხარჯებისაც და ასევე დადგენილი აქვთ გადასახადის გადახდის ხანგრძლივობა.

მუხლი XV

იმ ქალთა კოლექტივს, რომლებიც შეიკრიბნენ საგადასახადო მიზნებისთვის, რათა შეუერთდნენ მამაკაცებს, აქვთ უფლება, მოითხოვონ საბუღალტრო აღრიცხვა მისი ნებისმიერი საჯარო აგენტისგან.

მუხლი XVI

არც ერთ საზოგადოებას არ აქვს კონსტიტუცია უფლებების გარანტიისა და ხელისუფლების განაწილების გარეშე. კონსტიტუცია ბათილია, თუკი ერის უმრავლესობამ არ მიიღო მონაწილეობა მის ჩამოყალიბებაში.

მუხლი XVII

ქონება ეკუთვნის ორივე სქესს, არ აქვს მნიშვნელობა ერთიანია თუ განცალკევებული. თითოეული მათგანისთვის ეს არის ურღვევი და წმინდა უფლება, რომელსაც ვერავინ ჩამოართმევს.

პოსტკრიპტუმი

ქალებო, გამოიღვიძეთ! თქვენი ხმა მთელ მსოფლიოს ესმის; აღმოაჩინეთ თქვენი უფლებები. ძლიერი იმპერია აღარ არის გარშემორტყმული ცრურწმენებით, სტერეოტიპებით, ფანატიზმით, ზარალითა და ტყუილით! სიმართლის ალმა მიმოფანტა ყოველგვარი სისულელე და უზურპაცია. დამონებულმა კაცმა გაიორმაგა ძალა, რათა დაეწყვიტა თავისი ჯაჭვები. იგი გახდა თავისუფალი და ამავე დროს გახდა უსამართლო თავისი თანამგზავრისთვის. ო, ქალებო, ქალებო! როდის აგეხილებათ თვალი? კარგი რა მიიღეთ რევოლუციისგან? უფრო მკვეთრად გამოხატული უპატივცემულობა, უფრო აშკარა ზიზღი. კორუფციის საუკუნეში თქვენ მართავდით იმიტომ, რომ კაცი იყო სუსტი. მემკვიდრეობის მელიორაცია, რომელიც დაფუძნებულია ბუნების განკარგულებაზე – რისიღა უნდა გეშინოდეთ ასეთი ვალდებულებების შემდეგ? იმისა, რომ ჩვენი ფრანგი კანონმდებლები, მორალის გამომსწორებლები, ხანგრძლივი პატიმრობიდან გათავისუფლებულები, კვლავ გეტყვიან: „ქალებო, რა გვაკავშირებს ჩვენ და თქვენ? ყველაფერი!" ეს იქნება ის პასუხი, რაც თქვენ (მამაკაცებმა) უნდა გაგვცეთ. მათ უნდა შეინარჩუნონ თავიანთი სისუსტე და გაბედულად დაუპირისპირდნენ მას. გაერთიანდით ფილოსოფიის სტანდარტების ქვეშ, დაიტიეთ მთელი თქვენი ხასიათის ენერგია და მალე დაინახავთ, რომ ქედმაღალი მამაკაცები მორჩილ თაყვანისმცემლებად ფეხქვეშ კი არ გაგეგებიან, არამედ იამაყებენ, რომ გაიზიარებენ თქვენთან ერთად იმ საგანძურს, რომელსაც უზენაესი ქმნილება ჰქვია. განურჩევლად იმისა, რა ბარიერებს დაუპირისპირდებიან, თქვენზეა დამოკიდებული, გაითავისუფლებთ თუ არა თავს. თქვენ მხოლოდ სურვილი უნდა იქონიოთ… ქორწინება არის ნდობისა და სიყვარულის საფლავი. გათხოვილ ქალს შეუძლია, დაუსჯელად მისცეს ქმარს უკანონო შვილი და ასევე – ქონება, რომელიც საერთოდ არ ეკუთვნის მას.

გაუთხოვარ ქალს აქვს მხოლოდ ერთი სუსტი უფლება; ძველთაძველი და ულმობელი კანონები უკრძალავს ქალს, უკანონო შვილმა მიიღოს მამის სახელი და ქონება. უძველესი დროიდან არ შეცვლილა ეს კანონი. თუ ეს ითვლება პარადოქსულად და შეუძლებლად, რომ მივცე ჩემს სქესს პატივისცემა და მუდმივობა, მაშინ მე ვანდობ მამაკაცებს, მოიპოვონ დიდება ამ საქმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. მაგრამ სანამ ჩვენ ვიცდით, პარალელურად შეგვიძლია განვაახლოთ მორალი, ცოლქმრული კონვენციები.

მამაკაცსა და ქალს შორის სოციალური კონტრაქტის შესახებ

ჩვენ, _____ და _____, ჩვენი სურვილისამებრ ვერთიანდებით ჩვენი ცხოვრებისა და ერთობლივი მისწრაფებების ხანგრძლივობისთვის შემდეგი პირობებით:

ჩვენ ვაპირებთ და გვსურს, რომ ჩვენი სიმდიდრე გახდეს კომუნალური, ამასობაში ჩვენს თავს ვუტოვებთ უფლებას, რომ გავუყოთ ქონება შვილებს ან სხვა პიროვნებას, ვისკენაც გვაქვს მიდრეკილება. ჩვენ ერთობლივად ვცნობთ, რომ ჩვენი საკუთრება პირდაპირ გადაეცეს და ეკუთვნოდეს ჩვენს შვილებს, განურჩევლად იმისა, როგორები არიან ისინი. ამასთან, ყველა ჩვენს შვილს აქვს უფლება, ატარონ სახელი მამისა თუ დედისა, ვინც აღიარა. ჩვენ გვევალება, ხელი მოვაწეროთ კანონს, რომელიც სჯის საკუთარ სისხლსა და ხორცზე უარის თქმას. ჩვენ აგრეთვე ვავალდებულებთ თავს, რომ დაშორების შემთხვევაში ჩვენი ქონება გაიყოს და წინასწარ იქნეს გათვლილი, რა ნაწილს მიიღებს ბავშვი. ხოლო სრულყოფილი კავშირის შემთხვევაში ის, ვინც გარდაიცვლება, თავისი სიმდიდრის ნახევარს დაუტოვებს შვილს, ხოლო თუკი ისიც უშვილოდ გარდაიცვლება, ცოცხლად დარჩენილი მემკვიდრეობით მიიღებს ქონების უფლებას, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პიროვნებამ წინასწარ არ დატოვა ანდერძი თავის სასურველ და დამსახურებულ პირზე.

ეს არის ქორწინების აქტის დაახლოებით ის ფორმულა, რომლის შესრულებასაც მე გთავაზობთ. ამ უცნაური დოკუმენტის კითხვის საფუძველზე მე ვხედავ, რომ ჩემს წინააღმდეგ აღიძვრება ორპირობა, მანჭიაობა, ღვარძლი, დაგეშილია სამღვდელოება და მთლიანად ჯოჯოხეთური რიგითობა. მაგრამ როგორ არ არის ჩემი გონიერი შეთავაზება და ინიციატივა იმის საწინდარი, რომ მივაღწევთ სრულყოფილ, ბედნიერ ხელისუფლებას!

მე გთავაზობთ კანონს, რომელიც დაეხმარება ქვრივებსა და ახალგაზრდა გოგონებს, რომლებსაც იმედი გაუცრუეს მამაკაცებმა. მინდა და ვწერ ამ კანონს, რათა დავაძალოთ ცვალებად კაცებს, აღასრულონ თავიანთი ვალდებულებები ან თუნდაც გადაუხადონ მისი ქონების ტოლი კომპენსაცია.

ამასთან, კვლავ მოვითხოვ: როგორც მე დავწერე 1788 წელს „ადამიანის მარტივ ბედნიერებაში", პროსტიტუტები უნდა მოთავსდნენ გარკვეულ ადგილებში. პროსტიტუტებს არ

შეაქვთ წვლილი მორალების გარყვნაში. ეს არის ქალთა საზოგადოება. ეს თავიდან არეულობას მოიტანს, მაგრამ შედეგად სრულყოფილ ჰარმონიას მივიღებთ.

მე გთავაზობთ მარტივ გზას ქალის სულის ასამაღლებლად: ჩვენ უნდა დავუკავშიროთ ქალები მამაკაცის ყოველგვარ საქმიანობას. თუ მამაკაცს ეს გადაწყვეტილება არაპრაქტიკულად მიაჩნია, მას შეუძლია, თავისუფლად გაუზიაროს ბედი ქალს – წყნარად, კანონიერად და არა იმპერიულად. ცრურწმენა ეცემა, მორალები იწმინდება, ბუნება თავიდან იძენს კანონებს. ამ ყველაფერს დავამატოთ მღვდლების ქორწინება, მეფის უფლებების გაძლიერება და საფრანგეთის პარლამენტი არ დაეცემა!

ადრე ქალს არ ჰქონდა უფლება თავისი აზრი და სურვილი გამოეთქვა და მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, ქალებს არანაირი პოლიტიკური უფლება არ ჰქონდათ. ბევრმა მათგანმა გაილაშქრა თავიანთი უფლებების დასაცავად, მაგრამ უშედეგოდ. 1793 წელს ოლიმპია დე გუჟს პოლიტიკური პუბლიკაციებისათვისა და პროტესტისათვის ბრალი წაუყენეს და სიკვდილით დასაჯეს: გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი.


CODE CIVIL
DES
FRANÇAIS.
ÉDITION ORIGINALE ET SEULE OFFICIELLE.
GRAND JUGE ET MINISTRE DE LA JUSTICE
À PARIS,
DE L'IMPRIMERIE DE LA RÉPUBLIQUE.
AN XII. — 1804.

ნაპოლეონ ბონაპარტმა 1804 წელს გამოსცა სამოქალაქო კოდექსი. მისი პირველი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ,,ყველა ფრანგი მოქალაქე სარგებლობს სამოქალაქო სამართლით'', იმის მიუხედავად, თუ როგორი მოქალაქეა. პირველ ნაწილში ასევე განსაზღვრული იყო საოჯახო სამართლის პრინციპებიც. კოდექსი აკანონებდა საერო ქორწინებას (ჯერ კიდევ 1791 წლის კონსტიტუციაში ქორწინება განსაზღვრული იყო, როგორც სამოქალაქო ხელშეკრულება.) ამრიგად, მოხდა ქორწინების სეკულარიზაცია. ოჯახში, მართალია, გაბატონებული მდგომარეობა კვლავ კაცს რჩებოდა, მაგრამ ზოგიერთ მუხლში ხაზგასმული იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, მაგალითად, ,,მეუღლეები ვალდებული არიან, ერთმანეთის ერთგულნი იყვნენ, ერთმანეთს დაეხმარონ, მხარი დაუჭირონ და უთანაგრძნონ''.

როგორც ნაპოლეონი ამბობდა ,,ჩემი დიდება ორმოცი ბრძოლის მოგება კი არ არის, არამედ ის, რაც დავიწყებას არ მიეცემა და მუდმივად იარსებებს, ეს ჩემი სამოქალაქო კოდექსია''.- მე ვეთანხები მას, რადგან სწორედ ამ კოდექსის დახმარებით 1804 წელს ოფიციალურად გათანაბრდა ქალისა და კაცის უფლებები.

მაგრამ მიუხედავად ზემოდ ხსენებულისა ზოგიერთ კულტურაში დღესაც ფიქსირდება უფლებათა დარღვევა, სწორედ ამისათვის არსებობს ქალთა უფლებების დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციები; მაგალითად, ჩვენთან, საქართველოში, ქალთა უფლებებს იცავს ქალბატონი ბაია პატარაია.

ელისო ბუიღლიშვილი

ტყიბულის N4 საჯარო სკოლის მასწავლებელი

საზოგადოება და გენდერი

გენდერი შეეხება ქალის და მამაკაცის როლებთან დაკავშირებულ სოციალურ ატრიბუტებს შესაძლებლობებს და ურთიერთობებს ქალებს, მამაკაცებს, გოგონებს და ბიჭებს შორის. რადგან გენდერი სპეციფიურია დროში და კონტექსტში, გენდერი განსაზღვრავს, რა არის მოსალოდნელი, დასაშვები და დასაფასებელი ქალში და მამაკაცში მოცემულ კონტექსტში. საზოგადოებების უმეტესობაში არსებობს განსხვავებები და არათანასწორობა ქალებს და მამაკაცებს შორის მათთვის მინიჭებული პასუხისმგებლობების, საქმიანობების, რესურსების ხელმისაწვდომობის კონტროლის და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებში. ასევე გენდერი გულისხმობს მამაკაცისა და ქალის თანაბარუფლებიანობას, თანაბარ შესაძლებლობებს, თანაბარ უფლება-მოვალეობებს და თანაბარ შანსებს ცხოვრებასა და საქმიანობაში, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა თაობას მიეწოდოს ინფორმაცია ამ ცნებების შესახებ.

ნებისმიერ საზოგადოებაში, გენდერული როლი განსაზღვრულია სოციო-კულტურული ნორმებით და სხვადასხვა კულტურის მიერ განპირობებულ ქცევებს გულისხმობს, რომლებიც **მასკულინურად (კაცურ)** ან **ფემინურად (ქალურ)** არის მიჩნეული. ზოგიერთი კულტურა გენდერს ბიოლოგიურ სქესთან მჭიდროდ აკავშირებს. ასეთ კულტურებში მიჩნეულია, რომ სტერეოტიპულად მასკულინური ქცევები მხოლოდ მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი და მისასალმებელი, ხოლო სტერეოტიპულად ფემინური ქცევები - მხოლოდ ქალებისათვის. მიაჩნიათ, რომ გენდერული როლები ქალისა და მამაკაცის ისეთ ბიოლოგიურ თავისებურებებს ემყარება, როგორებიცაა ფიზიკური მონაცემები ან რეპროდუქციული უნარები. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ ქალებისთვის ბიოლოგიურადაა დამახასიათებელი მზრუნველობით-აღმზრდელობითი უნარები, მამაკაცებისათვის კი - აგრესიული, ლიდერული ქცევა. პატრიარქალურ საზოგადოებებში ოჯახში ფუნქციების გადანაწილება ეფუძნება სწორედ ასეთ წინასწარ ჩამოყალიბებულ გენდერულ როლებს.

გენდერული როლებისათვის დამახასიათებელია არა თანასწორობა, არამედ იერარქიულობა. ის როლები, რომლებიც სტერეოტიპულად ქალის მახასიათებლად აღიქმება, გაუფასურებულია, ხოლო მამაკაცისა – დაფასებული. მაგალითად, გენდერული როლების დაყოფის ნაყოფია რომ ქალის მიერ გაწეული საშინაო შრომა გაუფასურებულია, ხოლო კაცის მიერ სახლის გარეთ გაწეული შრომა დაფასებული და ანაზღაურებადი. ასევე, ხშირად მიაჩნიათ, რომ მამაკაცები ჭკვიანები არიან, ქალებს კი ნაკლები ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ და სხვა.

ფემინისტი მკვლევარების აზრით, ასეთი რწმენები ხელს უწყობს პატრიარქალურ სისტემაში ქალის ჩაგვრას და მის მეორეხარისხოვან ადამიანად წარმოჩენას.

თუმცა, თანამედროვე ცხოვრებამ საგრძნობლად შეუცვალა ოჯახს სტრუქტურა და ტრადიციული მოვალეობებიც ისეთი მყარი აღარ არის: სულ უფრო მეტი ქალია დასაქმებული სახლის გარეთ და სულ უფრო მეტი კაცი ერთვება ბავშვების აღზრდაში. რეალურად, სივრცე განსხვავებულ გენდერებს შორის მცირდება. თანამედროვე საზოგადოება ცდილობს შექმნას თანასწორი საზოგადოება და თანასწორი ოჯახი.

სასურველია ოჯახის ყველა წევრი ერთად იღებდეს გადაწყვეტილებებს, ყველას ჰქონდეს საშუალება ღიად გამოხატოს საკუთარ აზრი, აკრიტიკებდნენ და მხარს უჭერდნენ ერთმანეთს და ამავდროულად ოჯახში რჩებოდნენ დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდებად, ეს ყოველივე ბავშვებსაც მიემართებათ. საზოგადოებაში ტრადიციულ და თანამედროვე შეხედულებებს შორის საკმაო განსხვავებაა, რაც ბევრ ოჯახს დილემის წინაშე აყენებს.

გენდერული როლების ტრადიციული ხასიათით ჩამოყალიბებას თავისი ისტორიული წინაპირობები ჰქონდა. გამომდინარე იქიდან, რომ პირველყოფილ ადამიანებს სჭირდებოდათ გამრავლება და გადარჩენა, მნიშვნელოვანი იყო ნადირობა, საკვებით მომარაგება, ნაშიერის დაცვა მტაცებელი ცხოველებისაგან. ქალებს ხშირი ორსულობის, მშობიარობის და ბავშვების მოვლის გამო უწევდათ სახლში ყოფნა და შთამომავლობაზე ზრუნვა, კაცებს კი უწევდათ სახლის გარეთ მუშაობა, ნადირობა და სხვა გზით საკვების მოპოვება.

დღეს, როდესაც ქალს შეუძლია აკონტროლოს შობადობა, როდესაც ადამიანებს არ უწევთ ცხოველებისაგან თავის დაცვა და სარჩოს მოპოვებაც აღარ არის დამოკიდებული ნადირობაზე, გენდერული როლების ძველებური დანაწილება აზრს კარგავს. საუკუნეები დასჭირდათ ქალებს, რომ მოეპოვებინათ იგივე უფლებები და თანასწორი სტატუსი კაცებთან მიმართებაში. ბევრი ქალი დღეს ახერხებს იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით, თავად დაგეგმოს საკუთარი ოჯახი და ჰქონდეს მისთვის სასურველი კარიერა. თუმცა რიგ საზოგადოებებში კვლავ მიიჩნევენ, რომ ქალის მთავარი ფუნქცია შვილების გაჩენა და დედობაა. თუ ოჯახში დამკვიდრებული ტრადიციული გენდერული როლები, ასეთ ოჯახებში ქალებს და გოგონებს კვლავ უწევთ საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლა და მტკიცება, რომ ისინი კაცების თანასწორნი არიან.

საქართველოში გენდერული თანასწორობა უფრო ქალთა უფლებებისკენ იხრება, ქალის როლი ბოლომდე არ არის გახსნილი საზოგადოებაში. ჩამოყალიბებულია მყარი სტერეოტიპი, რომ ქალი უნდა იჯდეს სახლში, ოჯახს მოუაროს და ბავშვები აღზარდოს. რა თქმა უნდა, ამას არავინ უარყოფს, გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ფუნქციების არაადეკვატურ განაწილებას, მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ ქალს არ შეეძლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრება, თუნდაც პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა. სტატისტიკას თუ ავიღებთ,

ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა მუდმივი დეფიციტია. ეს იმის ბრალიც არის, რომ ქალი თავისუფლად ვერ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობას, ბიზნესში იქნება თუ ცხოვრების სხვა სფეროში. თუმცა ხშირად თავად ქალებისთვისაა მიუღებელი გენდერული თანასწორობა. ბევრს მიაჩნია, რომ მთელი ცხოვრება ჩაკეტილმა, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეულმა უნდა გაატაროს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ტრადიციებით, სოციალური ჯგუფის წარმოდგენებით, დამკვიდრებული წესებით, ინფორმაციის ნაკლებობით. ამიტომ სკოლას აქ ძალიან დიდი როლი ეკისრება. მნიშვნელოვანია, როგორ და რა ფორმით მიაწვდის მასწავლებელი მოსწავლეს ამ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია უნდა იყოს ადეკვატური და ბავშვისთვის იოლად აღსაქმელი. მსოფლიოში უამრავი მეთოდოლოგია არსებობს მოსწავლეებში გენდერული თანასწორობის ასამაღლებლად. შეიძლება ამ მოდელების შერჩევა, საქართველოს სინამდვილეზე მორგება. თუ სკოლები და, მით უმეტეს, განათლების სამინისტრო ამ მიმართულებით უფრო აქტიურად იმუშავებენ, ძალიან კარგი იქნება მთელი საზოგადოებისთვის.

მედიას დიდი როლის შესრულება შეუძლია გენდერული პრინციპების დანერგვაში, თუმცა აქაც სიფრთხილეა საჭირო, რომ ინფორმაციის არასწორად მიწოდება არ მოხდეს. არ შეიძლება, გენდერული თანასწორობა გაგებულ იქნეს მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვად – ის იცავს მამაკაცთა უფლებებსაც, უბრალოდ, ქალთა უფლებები უფრო შეზღუდულია და ამიტომ მათზე აქცენტირება მეტად ხდება.

გენდერი მგრძნობიარე თემაა – საკმარისია ხელოვნურობა, თავზე მოხვევა, რომ იგი უკუეფექტს, პროტესტს გამოიწვევს, ამიტომ ის უნდა მივაწოდოთ შესაბამისი მეთოდოლოგიით. გენდერი ის თემაა, სადაც მარტო საზოგადოება ვერაფერს გახდება, ისევე როგორც სახელმწიფო დამოუკიდებლად ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს.

თანამედროვე სოციალური სტრუქტურა ქალებს და კაცებს საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებად მიიჩნევს, თანასწორი უფლებებით, სტატუსითა და პასუხისმგებლობებით. თუმცა ბევრი ოჯახი ისევ შედგება არა თანასწორი მეუღლეებისაგან, არამედ ავტორიტეტული მამისა და მორჩილი დედისაგან, ასეთ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს შესაძლოა, ანალოგიური მოლოდინები ჰქონდეთ მეუღლეების მიმართ, როდესაც საკუთარ ოჯახებს შექმნიან.

თანასწორმა სტატუსმა, შესაძლოა, გააღიზიანოს ქმარი, რომელიც მიიჩნევს, რომ აღმატებულია ცოლზე. თუ ადამიანი თანასწორობის პატივისცემით არ აღუზრდიათ, მას საკმაო დრო სჭირდება იმისათვის, რომ შეეგუოს ახლებურ სოციო-კულტურულ წყობას. ოჯახი მხოლოდ ერთ ჭერქვეშ მცხოვრებთა ინსტიტუტი როდია. ეს უკანასკნელი ერთნაირად მოაზროვნე ან ერთმანეთის მოყვარე ადამიანების გაერთიანებაა, რომლის თითოეულ წევრსაც აკისრია კონკრეტული მოვალეობები და პასუხისმგებლობები. მოვალეობების და

პასუხისმგებლობების გადანაწილება შეთანხმებით უნდა მოხდეს ახლადშექმნილ ოჯახში და ეს წესები შესაძლოა პერიოდულად გადაიხედოს.

დღეს ორივე მშობელი - დედაც და მამაც მუშაობს, აგროვებს ფულს ოჯახისთვის, სარგებლობს თანასწორი სოციალური სტატუსითა და ფინანსური დამოუკიდებლობით. ამ გადმოსახედიდან, დიასახლისის შრომა ხდება არა კონკრეტულად ერთი ადამიანის, არამედ ოჯახის ყველა წევრის მოვალეობა. ერთმანეთზე მორგება და გაგება ის ასპექტებია, რომლებიც ოჯახს ეხმარება, უმტკივნეულოდ იცხოვროს, როგორც ერთიანმა სტრუქტურამ. დრომოჭმულ გენდერულ როლებზე ჩაბღაუჭებას კი მხოლოდ არსებული სიტუაციის გაუარესება შეუძლია.

ტრადიციულ ოჯახურ სისტემაში, სადაც დედა მხოლოდ საშინაო საქმეს ასრულებდა, მამა კი სახლის გარეთ მუშაობდა, ბავშვების მოვლა და აღზრდა დიდწილად ქალზე იყო დაკისრებული, რაც ერთი მხრივ, ქალს არ აძლევდა კარიერული განვითარების საშუალებას, კაცს კი იმდენად უზღუდავდა როლს ოჯახში, რომ ბავშვებს ხშირად გაუცხოებული დამოკიდებულება და შიში ჰქონდათ მამის მიმართ.

ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ადრეული ქორწინება არის ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია. ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევად ითვლება, რადგან არასრულწოვანს არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა ქორწინებაზე. არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ქალების 14% 18 წლის შესრულებამდე დაქორწინდა. თუმცა, მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ნაადრევი ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული. ადრეული ქორწინება გენდერულ ჭრილში განსახილველი ფენომენია - ის განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე. ზოგადად, ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა, გოგონებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. ადრეული ქორწინება გოგონებისთვის მძიმე შედეგების მომტანია, ხშირ შემთხვევაში მათ სოციალურ და უფლებრივ გარიყვას იწვევს და ხელს უშლის გოგონებს განათლების დასრულებაში. მოზარდობის ასაკში ორსულობა და მშობიარობა კი დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს. ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია და შესაბამისად, ვითარების გასაუმჯობესებლად მრავალმხრივი მუშაობაა საჭირო როგორც პოლიტიკის და კანონმდებლობის დონეზე, ასევე თემებთან და თვითონ მოზარდებთან მათი დამოკიდებულების შესაცვლელად. ვაჟიშვილებისათვის უპირატესობის მინიჭება და გოგონების დაუფასებლობა, რაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკის ძირეული მიზეზია, საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ამ პრაქტიკის შედეგად საქართველოში უფრო მეტი ბიჭი იბადება, გოგონების რაოდენობა კი მცირდება. ტენდენციების შესწავლის და მტკიცებულებებზე დამყარებული საზოგადოებრივი დისკუსიის წამოწყების მიზნით, გაეროს მოსახლეობის ფონდმა

ჩაატარა კვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა მჭიდრო კავშირშია კულტურულ და რელიგიურ, ასევე ქალაქსა და სოფლად ცხოვრების თავისებურებებთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რამდენიმე გადამწყვეტი ფაქტორის არსებობა, მათ შორის ოჯახებში ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭება.

თანამედროვე ცხოვრების სტილით, ორივე მშობელი დაკავებულია სახლის გარეთ შრომით, საჭირო ხდება ბავშვის აღზრდაში აღმზრდელობითი ინსტიტუციების ჩართვა, როგორიცაა საბავშვო ბაღი, სკოლა. ხშირად ბავშვის აღზრდაში ბებია-ბაბუები და ძიძებიც მონაწილეობენ. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა გამონახონ დრო, რომელსაც შვილებთან ხარისხიანად გაატარებენ. შვილის აღზრდა უპირველესად მშობლის მოვალეობაა. ბალანსის დაცვა სამსახურს, სახლის საქმეებსა და მშობლობას შორის საკმაოდ რთულია, ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რომელმაც უნდა შექმნას ისეთი სამუშაო გარემო ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია მშობლობისა და კარიერის დაბალანსება. ამასთან, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ბავშვები მომზადებულნი უნდა იყვნენ, ოჯახურ საქმეებში მონაწილეობისათვის. ეს მათ დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ მშობლების მდგომარეობა, ჩაერთონ საერთო ოჯახურ მეურნეობაში და შეიძინონ ის აუცილებელი უნარები, რომელიც საჭიროა დამოუკიდებელი ცხოვრების მისაღწევად. ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარ თავზე სრულფასოვნად ზრუნვა. საზოგადოება ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებს ქალთა თანასწორ უფლებებს, რაც უმეტესწილად ქართველი კაცების დამოკიდებულებას უკავშირდება. კაცების თითქმის 40 პროცენტი მიიჩნევს, რომ პროფესიული თვალსაზრით ქალი კაცს ერთნაირი კვალიფიკაციის შემთხვევაშიც კი ვერ გაუტოლდება, ხოლო ყველა გამოკითხულთა ნახევარი პოლიტიკურ ლიდერობაში კვლავ კაცებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველო მხოლოდ მაშინ შეძლებს, სრულად გამოიყენოს ქვეყნის ყველა მოქალაქის პოტენციალი, თუ დისკრიმინაციასა და სტერეოტიპებს გადალახავს“.

„კვლევაში გაანალიზებულია გენდერული თანასწორობის მიმართ არსებული დამოკიდებულება და აღქმა საზოგადოებრივ, თემის, ურთიერთობებისა და ინდივიდუალურ დონეზე. ურთიერთობები უდაოდ გვაძლევს ცვლილებების დანახვის შესაძლებლობას, ამდენად, საინტერესოა, დავაკვირდეთ ოჯახში ქალის როლის აღქმასთან დაკავშირებით მომხდარ მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს, რომელიც კვლევამ გამოავლინა. ამჟამად რესპონდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა (50.4%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, ეს მაჩვენებელი, კვლევის მიხედვით, 11%-ს შეადგენდა. აგრეთვე, პროცენტული მაჩვენებელი ადამიანებისა, რომლებიც ეთანხმებიან, რომ ოჯახში საბოლოო სიტყვა კაცს ეკუთვნის, 28%-ით შემცირდა.

გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა. ქალებს უფლება აქვთ, იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიშის გარეშე. ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად.

ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ოჯახებისა და თემების კეთილდღეობას ,პროდუქტიულობას და შემდეგი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას.

განათლებამ მოზარდს უნდა განუვითაროს უნარი, რომ სწორად განავითაროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. გამოუმუშაოს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები. პიროვნება, რომელიც ასეთ უნარ-ჩვევებს ფლობს, ყოველთვის შეძლებს ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გაუმჯობესებასაც. და ბოლოს, ცნობიერების ამაღლების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვადასხვა სახის ტრენინგებს, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობას, სადაც ორივე სქესის წარმომადგენლები კიდევ უფრო დარწმუნდებიან თავიანთ შესაძლებლობებში, გაუჩნდებათ თვითშეფასების, ურთიერთპატივისცემის გრძნობა, წაიშლება „დომინანტ-დამოკიდებულება“ ერთმანეთის მიმართ. ეს კი ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

გენდერული თანასწორობა სტატისტიკა

http://mastsavlebeli.ge/?p=2597

https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-38

ფაქიზო ფანჩულიძე
წყალტუბოს N1 საჯარო სკოლის დირექტორი

გენდერი და სასკოლო გარემო

სასკოლო პროექტი "შეცვალე რეალობა"

მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლაში განხორციელდა სამთვიანი პროექტი სახელწოდებით "შეცვალე რეალობა", რომელიც მიზნად ისახავდა სასკოლო საზოგადოებასა და თემში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიკის განვითარების ხელშეწყობას. პროექტი 2 ამოცანას მოიცავდა:

I ამოცანა - სკოლის მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში გენდერული თანასწორობის პრინციპის გაცნობა;

II ამოცანა - გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროექტის სამიზნე ჯგუფი გახლდათ სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლე, პედაგოგი, დირექცია, ტექპერსონალი, თემი, მშობლები.

პროექტი სამი თვე ხორციელდებოდა, პროექტის დაწყებამდე პირადად მე, სკოლის ხელმძღვანელმა საინფორმაციო სამუშაო შეხვედრა მოვაწყვე პედაგოგებთან თემატური პრეზენტაციით. შეხვედრაზე ყურადღება გავამახვილე გენდერულ სტერეოტიპებზე და გენდერის მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში გასატარებელ აქტივობებზე.

ვინაიდან სკოლა ძირითადად საგაკვეთილო პროცესს მოიცავს ჩავატარეთ საჩვენებელი გაკვეთილები.

1. XI ა კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში "(მენტორი მასწავლებელი **ფაქიზო ფანჩულიძე**). მოსწავლეებმა დისკუსიის ფორმატში იმსჯელეს გენდერზე, გენდერულ სტერეოტიპებზე, ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონმდებლობაზე, თავიანთ პრეზენტაციებში საინტერესოდ ისაუბრეს ქალებზე, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს. გაკვეთილი წარიმართა პრაქტიკული სავარჯიშოებით, დასასრულს კი საინტერესო გზავნილები გაუგზავნეს მსოფლიოს.

2. მდგრადი განვითარების 5 მიზნის გათვალისწინებით საინტერესო, პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი ჩატარდა XI ბ კლასში (მენტორი მასწავლებელი **ნინო ცხაკაია**). მოსწავლეებმა კვლევის საფუძველზე განახორციელეს სასკოლო გამოკითხვა გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანი შედეგები გამოავლინეს. დოკუმენტურ

ფილმზე დაყრდნობით იმსჯელეს გენდერული უთანასწორობის გამომწვევ მიზეზებზე და დაგეგმეს შესაბამისი ინტერვენციები.

3. X ბ კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წამყვანი მასწავლებელი **დარეჯან ლაჭყეპიანი**) თემაზე: "ადამიანები, რომლებიც ერთგულებენ პრინციპებს, შეხედულებებს და სიცოცხლის ფასად იცავენ, გმირებად ირაცხებიან".

მოსწავლეებმა p.p -ის ფორმატში წარმოადგინეს ცნობილ ქართველ ქალთა სახეები, შუშანიკ დედოფლისა და ვარსქენ პიტიახშის შედარება-შეპირისპირება, კორნელის დაფა, ირანელ ექიმ ფაროხო პარსას შეხედულებები, ნახატები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ანალიტიკური ესეები.

4. VIII ა კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში "(მენტორი მასწავლებელი **დოდო ხაჩიძე**) „გენდერული მიკუთვნებულობა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „დადიანის ასული და მათხოვარი" მოსწავლეებმა ტექსტის შესავალშივე გამოკვეთეს გენდერული მიკუთვნებულობის პრობლემა, ისაუბრეს დღეისათვის საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებზე, თამამად გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, იმსჯელეს არგუმენტირებულად, დააკონკრეტეს ნაწარმოების იდეა, რომ "ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც დაფასება, არც გამრავლება, არც გამოკლება. იგი უფასოა, იგი ერთია, მუდამ ერთი... ადამიანი მუდამ ადამიანია - არც მეტი და არც ნაკლები!" ბოლოს შეავსეს სქემა, ჩამოწერეს ადამიანის დადებითი და უარყოფითი თვისებები, დაასკვნეს, რომ ადამიანი თავისი ცხოვრებით ზნეობრივ სრულყოფას უნდა ესწრაფოდეს, ანუ "ვითა მამა ზეცისა", იყოს სრული, რადგან ცით მონაბერ სულს გაფრთხილება სჭირდება, სოციალური და გენდერული ნიშნით დაყოფა კი გაუმართლებელია.

5. VIII გ კლასში მათემატიკის კომპლექსური დავალების კავშირი გენდერულ საკითხებთან. (მენტორი მასწავლებელი **მანანა წულაია**)მოსწავლეებმა ისაუბრეს ქალისა და მამაკაცის გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებზე, პროფესიებზე, რომელთა დაუფლებაც ორივე სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ და ამოცანის პირობის შესაბამისად დაასკვნეს, რომ არ არსებობს გენდერული როლები.

ბუნებრივია, საგაკვეთილო პროცესს გარდა სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლებისათვის ხელშეწყობა და ამ მიმართულებით აქტივობების განხორციელება. ამიტომ პროექტის მსვლელობაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო კლუბები.

შემაჯამებელი პრეზენტაცია: „სკოლის სამოქალაქო კლუბი და გენდერული თანასწორობა "წარმოადგინა წამყვანმა მასწავლებელმა **ფიქრია გიორხელიძემ;** ინგლისური ენის კლუბ „ალბიონის" მიერ ქალთა ძალადობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს კლუბის წევრებმა, XI ბ კლასის მოსწავლეებმა, **ლ. ბენიძემ და მ. კოვზირიძემ.** რადგან ჩვენს სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა

ინგლისური და რუსული ენების შესწავლას, რუსულ ენაზე ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა XII ა კლასის მოსწავლე **ლ. გოგიძემ.**

სასკოლო პროექტის, „გენდერული პასუხისმგებლობის მქონე სწავლება თანაბარი შესაძლებლობებისთვის“, ფარგლებში მე-11 და მე-12 კლასებში ჩატარდა არგუმენტირებული ესეების კონკურსი შემდეგი პირობით:

"დღესდღეობით გენდერული თანასწორობის საკითხი ქართველი სამოქალაქო საზოგადოებისათვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა და მეტად მგრძნობიარე საკითხი.

- ❑ თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ ამ მიმართულებით;
- ❑ რას ურჩევდით მასწავლებლებს, საიდან დაიწყონ მოსწავლეებში გენდერული საძირკვლის ჩაყრა;
- ❑ როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

პროექტის გამარჯვებულმა მოსწავლეებმა **ლ. ქაჯაიამ, ი. ხელაიამ, მ. ვაწაძემ** შემაჯამებელ ეტაპზე წარმოადგინეს თავიანთი ესეები.

პროექტის ერთ-ერთი აქტივობა იყო კლასის საათების ჩატარება, კერძოდ (18 სადამრიგებლო კლასში) გენდერულ საკითხთა გაშუქება მათი უკეთ გაგება-გააზრების მიზნით, ყურადღება გამახვილდა, რომ გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას ოჯახურ ცხოვრებასა და სხვა აქტივობებში, მამაკაცთა და ქალთა თავსებადობასა და მათ საერთაშორისო თანამშრომლობას. თანასწორობის დაწესებას; ქალისა და მამაკაცის მხარდაჭერას სამსახურებრივი, ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონიზებაში; პირობების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ხანდაზმულთა მშვიდობიან ცხოვრებას; ქალების წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვას; ქალთა ჯანმრთელი სიცოცხლის ხელშეწყობას; ქალთა უფლებების პატივისცემას მედიაში; განათლებისა და სწავლების გაფართოებას იმ მიმართულებით, რაც პოპულარიზაციას უწევს გენდერულ თანასწორობასა და არჩევანის მრავალფეროვნებას და ამ გზით წვლილი შეაქვს „თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის“ საქმეში გლობალურ სამყაროში.

სამთვიანი პროექტის განხორციელებით სკოლა ჩაერთო ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კვირეულში, რომელიც ყოველწლიურად საერთაშორისო მასშტაბით იმართება.

პროექტის დასკვნითი შემაჯამებელ შეხვედრაზე, რომელიც 19 დეკემბერს გაიმართა, ესწრებოდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე **თ. ჭეიშვილი**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი: **მ. ჩხეტიანი,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი - **მ. კიკალიშვილი**, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი - **ი. ხელაძე,** გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი წყალტუბოს საკრებულოში - **ლ. ბერძენიშვილი**.

ვფიქრობთ, აღნიშნულ პროექტს საკმაო შედეგები მოჰყვა:

- გენდერული თანასწორობის შესახებ მოსწავლეებს შეექმნათ სწორი წარმოდგენა;
- შემცირდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებში სქესთან დაკავშირებული სტერეოტიპები;
- უსაფრთხო გარემოს პირობებში ამაღლდა მოტივაცია სწავლისადმი და შესაბამისად გაიზარდა აკადემიური მაჩვენებლები;
- გაღრმავდა კავშირი მშობლებთან;
- გაიზარდა დამრიგებლის ინსტიტუტის როლი.

პროექტის მსვლელობისას დაიბადა იდეა, სკოლაში შექმნილიყო ფორუმ-თეატრი და სადისკუსიო კლუბი, რომელშიც ძირითადად VIII-IX კლასები გაერთიანდნენ და ახალგაზრდებს კიდევ ერთი კლუბი შეუდგა სკოლაში ფუნქციონირებას.

თინათინ მილორავა, ასმათ ტოგონიძე
ქუთაისის N17 საჯარო სკოლის მასწავლებლები

გენდერის საკითხი დაწყებითი კლასების სასწავლო რესურსებში

თანამედროვე სასკოლო საზოგადოებაში აქტუალურია გენდერის საკითხი. ამ მხრივ, საინტერესოა, სასკოლო-სასწავლო რესურსებში არსებული გენდერული ბალანსი თუ დისბალანსი.

სასწავლო რესურსი მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ რესურს ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად აღიქვამს. მარტივი მაგალითებით, რომ გავამყაროთ მსჯელობა, ფაქტია, რომ ერთი და იმავე ტიპის, განსხვავებული ფერის „სმაილი“ შეიძლება ბიჭ მოსწავლესა და გოგო მოსწავლეებში განსხვავებულ ემოციას იწვევდეს, რაც დაკავშირებულია მათ წარმოსახვაში არსებულ „არასწორ“ შეხედულებასთან.

ერთ-ერთი უწყინარი აქტივობა - როლური თამაში, შეიძლება მოსწავლეებში ვერ განახორციელო, როცა ბიჭს არ სურს მოირგოს ის როლი, რომელსაც საპირისპირო სქესის წარმომადგენელი ასრულებს და გამოხატავს პროტესტს.

ასევე, საინტერესოა როგორ არის წარმოდგენილი გენდერული საკითხები სახელმძღვანელოებში. აღსანიშნავია, რომ პერსონაჟების და გმირების როლში, ამოცანის პირობებსა თუ საქმიანობებში მეტწილად წარმოდგენილია „ძლიერი სქესი“. შეიძლება ითქვას, დარღვეულია ე.წ გენდერული ბალანსი.

პრაქტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა თემაზე საუბრისას კლასში აქტიურად შეიმჩნევა გენდერული კუთხით მოსწავლეთა არასწორი განათლება. ხშირად, შემოქმედებითი აქტივობების დროს, მოსწავლეები ფერებს ახარისხებენ, როგორც „ბიჭის ან გოგოს“ ფერი. ეს მიღებული ნორმაა მათ ცნობიერებაში და მასწავლებლებს გვიჭირს ამ შეხედულებების მართებულად შეცვლა.

გენდერთან დაკავშირებულ ცნობიერებას მოსწავლეს უყალიბებს არსებული საზოგადოება, ოჯახი, რომელშიც იზრდება, შესაბამისად ძველი, არასწორი შეხედულებები, რომლებიც გაბნეულია ბავშვების ირგვლივ, აზიანებს და ცვლის ახალ რეალობასაც. ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესებში თავიდანვე უნდა განისაზღვროს სწორი აქცენტები. ამ მხრივ პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც სახელმწიფოს, ასევე ოჯახსა თუ სასკოლო საზოგადოებას.

არსებული კვლევები ადასტურებს, რომ საზოგადოების მზაობა არსებობს აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა ხელისშემშლელი ფაქტორებიც მრავლადაა. ამრიგად, შედეგების მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა აქტივობის განხორციელება, რომელიც არ იქნება ერთჯერადი ხასიათის. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, კომპლექსური ხასიათისაა და არ არის ერთ კონკრეტულ რგოლზე დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, საზოგადოების თითოეულმა წევრმა მისი წილი პასუხისმგებლობა გაითავისოს პრობლემის მოსაგვარებლად.

სოფო ცერიაშვილი

თბილისის N142 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი და მოქალაქეობა

ალბათ, არავისთვის უცხო არ არის ის, რომ განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური საკითხების უზრუნველსაყოფის საქმეში. განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე მსჯელობისას, აუცილებელია მოცემულობის სიღრმისეული ანალიზი და შეფასება როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკური კონტექსტში.

გენდერული ხედვის, იდენტობისა და ქცევის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება. გენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ბავშვს მშობლებთან, მეგობრებთან , სოციუმთან ურთიერთობით უკავშირდება. სამწუხაროდ, გენდერული სტერეოტიპები დღემდე აქტუალურია. ჩვენ უნდა შევძლოთ და შევცვალოთ არსებული სტერეოტიპები იმის შესახებ, რომ ქალი და კაცი არ შეიძლება იყვნენ თანასწორები. ამ საკითხის სწორად აღქმაში სკოლას ნამდვილად დიდი წვლილის შეტანა შეუძლია, ბავშვები ხომ დღის დიდ ნაწილს სკოლაში ატარებენ.

ისეთი ფრთოსანი გამოთქმები, როგორიცაა: „ოჯახის რჩენა მხოლოდ მამაკაცის საქმეა“, „კაცია და გადაწყვიტოს“, „გოგოს რად უნდა ამდენი სწავლა“, ,,პატრონს როდის ჩაბარდები“, “გათხოვდება და ქმარი მიხედავს“ - დამკვიდრებული აზრია საზოგადოებაში, რომელიც მომავალ თაობას უკეტავს დემოკრატიისკენ მიმავალ გზას. სტერეოტიპები ხომ საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი აზრებია, რომლებიც მოკლებულია კრიტიკულ აზროვნებას. გენდერული სტერეოტიპები სოციუმში გაბატონებული მცდარი შეხედულებაა ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებისა და როლის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან კაცი საზოგადოებაში.

მოდით, გავიხსენოთ ქართველი ქალი, რომელიც უშიშრად იბრძოდა სწავლის, მუშაობის, ხმის მიცემის და თანასწორი უფლებების მოსაპოვებლად. კატო მიქელაძე, რომელმაც განათლება ევროპაში მიიღოს. დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად დაიწყო ბრძოლა ქალთა თანასწორობისთვის. მის მიერ დაარსებული გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ ბევრი ნიჭიერი ქალის იმედი აღმოჩნდა. კატო იბრძოდა შეხედულების - ქალის, როგორც საკუთრების - წინააღმდეგ.

ქალთა თანასწორუფლებიანობა რომ მხოლოდ ცარიელი სიტყვები არ არის, ამის დასადასტურებლად ჩვენმა წინაპრებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს და 1921 წლის 21

თებერვლის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ჩანაწერი გააკეთეს: „ქალი და მამაკაცი თანასწორია ყველა საქმეში“.

ბოლოს კი მინდა გავიხსენო ძველი ქართული ანდაზა, რომელიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქალის ისეთ ძლიერ სულიერ ენერგიას, რომელიც ყოველგვარ გასაჭირს უმკლავდება: „დედაკაცს მანამ ქმარი ჰყავს ამირანია და როცა დაქვრივდება ამირანთ ამირანიო!“

კიაფიატ გუსეინოვა

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

გენდერი საზოგადოებაში

გენდერული პრობლემა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტუალურ პრობლემებს შორისაა. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ადამიანური რესურსების ხარისხის გაუარესებით ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გენდერული უთანასწორობის ფაქტორით. ამრიგად, პრობლემის სერიოზული ხასიათი აფერხებს სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამცირებს არსებული სისტემის ეფექტურობას ადამიანური კაპიტალის განვითარებაში და საბოლოოდ იწვევს საზოგადოებაში სოციალური უსამართლობის გაღრმავებას. ადამიანთა საზოგადოება შედგება ქალებისა და მამაკაცებისგან. სქესებს შორის ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური განსხვავებები ცნობილია და უცვლელი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქალისა და მამაკაცის ადგილი საზოგადოებაში უცვლელია. ქალთა მოძრაობის ისტორია, ამ სფეროში მიღწევები მიუთითებს საზოგადოებაში ქალების როლის დინამიურ ცვლილებაზე.

ბოლო საუკუნეების ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შეცვალა ქალების როლი, როგორც ოჯახში, ასევე წარმოებაში. მე-20 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა „გენდერის“ ცნება, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც „სოციალური სქესი“. გენდერის კონცეფცია ეფუძნება ქალთა მოძრაობას. ცნობილია ტერმინის სქესის მრავალი განმარტება. ზოგადად, გენდერის ცნება ეხება ქალისა და მამაკაცის სოციალურ როლს საზოგადოებაში. ქალისა და მამაკაცის სოციალური თანასწორობა განიხილება როგორც გენდერული თანასწორობა. დაკვირვებები აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალებს აქვთ იგივე უფლებები, რაც მამაკაცებს, მამაკაცებისთვის შეთავაზებული შესაძლებლობები თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის ქალებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქალები მონაწილეობენ ყველა სოციალურ სფეროში, პოლიტიკაში და ბიზნესში, პოზიტიური ცვლილებები ხდება, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. განსაკუთრებით ქვეყნის რეგიონებში. დღეს ბევრი ქალი და გოგონა ხდება სტერეოტიპების მსხვერპლი, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გოგოები არიან, მათ არ აქვთ უფლება აირჩიონ პროფესია, რომელიც სურთ. სტერეოტიპების მიხედვით, ქალი შეიძლება იყოს მასწავლებელი ან ექიმი, ქალს არ შეუძლია იმუშაოს სპორტში, სამხედრო და საზოგადოებრივ საქმეებში. თუმცა ისტორია გვიჩვენებს, რომ არიან ქალები, რომლებიც წარმატებულნი არიან ჩამოთვლილ სფეროებში. საქართველოში ფარი ხანუმ სოფიევა პირველი ქალია, რომელიც დეპუტატად აირჩიეს მუსულმანურ სამყაროში. სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით, ქალთა ინფორმირება

რეგიონებში გენდერული თანასწორობის შესახებ. ამავდროულად, საჭიროა რეგიონებში მამაკაცების განათლება, რათა შეცვალონ აზროვნება. მინდა ვისაუბრო სტერეოტიპების მსხვერპლ გოგონებზე. სტერეოტიპების მიხედვით, გოგონები ვერ აგრძელებენ სწავლას, ისინი ქორწინდებიან მათი თანხმობის გარეშე. მოგვიანებით, როცა გათხოვდა და დედა გახდა, ბევრმა დაავადებამ იჩინა თავი. სტერეოტიპების მიხედვით, ქალის საქმეა სახლში ჯდომა, საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის რეცხვა და ბავშვების აღზრდა. სოფლებში არის ჩაის სახლები მამაკაცებისთვის, მაგრამ არა ქალებისთვის. ჩემი აზრით, გენდერული თანასწორობის შესწავლა სკოლებიდან უნდა დაიწყოს. გენდერული განათლება, განსაკუთრებით თუ მიმართულია როგორც გოგოებისთვის, ასევე ბიჭებისთვის, იყოს პოზიტიური ძალა, რომელიც საშუალებას აძლევს გენდერულ თანასწორობას

თანამედროვე საზოგადოებაში შეუძლია გენდერული განათლება, რომელიც ზღუდავს გენდერულ სტერეოტიპებს, თანამშრომლობას მამაკაცებსა და ქალებს შორის, დაეხმარეთ ბავშვებს მიაღწიონ ჭეშმარიტ სამოქალაქო თანასწორობას, იცხოვრონ ერთად პატივისცემის სულისკვეთებით აკეთებს. გენდერული განათლება იწყება სქესის როლებზე ყურადღების მიქცევით. ეს არის სქესი სტერეოტიპების უარყოფითი გავლენის ამოცნობა და მასთან დაკავშირებული უთანასწორობის აღმოფხვრა აწევს. გოგონების გენდერული განათლების შედეგია მეტი თავდაჯერებულობა, თავდაჯერებულობა, დამოუკიდებლობა და მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში. გენდერული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დედობა, რომელიც ტრადიციული ქალის საქმიანობაა და ასევე ისეთი თვისებების სოციალური ღირებულებები, როგორიცაა ზრუნვა, ყურადღება, თანამშრომლობა და შემწყნარებლობა არის დაეხმაროს ბავშვებს აღიარებაში. ეს აღიარება მართალია მამაკაცებსა და ქალებში მივყავართ პარტნიორობამდე, რაც გენდერული განათლების მთავარი მიზანია. ასე რომ ბიჭებო გაიგებს, რომ ქალისა და მამაკაცის წვლილი ოჯახსა და საზოგადოებაში თანაბრად მნიშვნელოვანია, ქალები და მამაკაცები თანასწორები არიან და იგივე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. იმისათვის, რომ გენდერული განათლება იყოს ეფექტური, პედაგოგებმა თავი უნდა აარიდონ პიროვნულ გენდერულ სტერეოტიპებს უნდა აღიაროს და ფლობდეს სწავლების მეთოდებს, კომუნიკაციას და თანამშრომლობას გოგოებთან და ბიჭებთან მათ უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რამდენად ასახავს ის გენდერული თანასწორობის იდეებს. ვფიქრობ, ამ ნეგატიური სტერეოტიპებისგან თავის დასაღწევად ბევრი პროექტის დაწყება შეიძლება. მაგალითად, დავიწყებდი პროექტს „გოგოებო, თქვენ შეგიძლიათ ეს". პროექტის განმავლობაში მომზადდება ვიდეო კლიპი და ქალები ბევრ სფეროში, მათ შორის პოლიციაში, პილოტებში, სამშენებლო მუშაკებსა და მეხანძრეებში, მოახსენებენ თავიანთ წარმატებებს.

ქალს შეუძლია ყველაფერის გაკეთება, თუ მას სურს, ქალი ნიშნავს ბრძოლას, არასოდეს შეწყვიტო ბრძოლა.

ნინო ბეგაძე

რუსთავის N8 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გენდერი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

საქართველოში ცხოვრების განმავლობაში გენდერული ნიშნით ძალადობა ოთხიდან ერთ ქალს მაინც განუცდია. ყოველთვის, როცა ფემიციდის ახალ შემთხვევებზე ვისმენ, ვფიქრობ ჩემს მოსწავლეებზე. რა შემიძლია გავაკეთო მე, როგორც მასწავლებელმა და როგორც დირექტორმა, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები მეტად გენდერულად სენსიტიურები იყვნენ.

გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ შესაბამისი ზომები მიიღონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღსაკვეთად, რათა ისინი უზრუნველყონ მამაკაცთა თანასწორი უფლებებით განათლების დარგში. საკანონმდებლო დონე, ერთი შეხედვით, საკმაოდ მოწესრიგებული გვაქვს, თუმცა მთავარ გამოწვევად მისი იმპლემენტაცია და ის გენდერული სტერეოტიპები რჩება, რომელიც ასე მყარადაა გამდგარი საზოგადოებაში. ამავე საზოგადოებას წარმოადგენენ ჩვენი მოსწავლეები - ადამიანები, რომელთა ცნობიერებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეგვიძლია.

2019-2020 წლებში, როდესაც ფონდმა ,,სოხუმმა“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული გენდერული სტერეოტიპები იკვლია, აღმოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, სკოლაში ჯერ კიდევ მყარია გენდერული სტერეოტიპები. როგორც სავარაუდო იყო, სტერეოტიპების გამავრცელებლები სასკოლო განათლებაში მონაწილე ყველა აქტორია. თუმცა მათი უდიდესი წილი დირექტორებზე, მასწავლებლებზე, მშობლებზე მოდიოდა და არა მოსწავლეებზე.

,,რატომ გვეუბნებიან, რომ გოგოსთვის უფრო სირცხვილია, თუ არ ისწავლის?“ მკითხა გაკვეთილზე მე-9 კლასის მოსწავლემ. ამ საუბარმა ბევრად შორს წაგვიყვანა. მინდოდა გამეგო, რა ტიპის სტერეოტიპული ფრაზების მოსმენა უწევდათ 14-15 წლის მოსწავლეებს. აღმოვაჩინე, რომ ისინი სისტემატურად ისმენდნენ სხვადასხვა ტიპის რეპლიკებს, რაც უფრო და უფრო

ამყარებდა გენდერულ სტერეოტიპებს. ეს ხდებოდა როგორც სახლში, ისე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სკოლებში.

ბიჭებისა და ტექნიკური საგნებისადმი გაურკვეველ კორელაციაზე ჩემს მოსწავლეებსაც სმენიათ. ,,ბიჭის ტვინი აქვს'' - ეს ფრაზა ხშირად უთქვამთ და ხშირად მოუსმენიათ საგაკვეთილო პროცესზე და მის მიღმა. როგორც წესი, ამას ტექნიკური და საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები პატარა გოგონების მისამართით, მათი გონებრივი შესაძლებლობების

ხაზგასასმელად ამბობენ.

ხშირად მასწავლებლები მკაფიოდ მაინც ვერ ვხედავთ ხოლმე, რომ სტერეოტიპების გაღრმავებაში რაიმე როლი ჩვენც მიგვიძღვის. ამ დროს, სწორედ იმ ასაკში ვუმეორებთ ბავშვებს და მოზარდებს ერთი შეხედვით უწყინარ ფრაზებს, როდესაც მათი ცნობიერება ყალიბდება.

კვლევები უჩვენებს, რომ სასწავლო პროცესისთვის კაცი მასწავლებლების მნიშვნელობის გაცნობიერებაც სუსტია, რაც ნაწილობრივ აძლიერებს სტერეოტიპს, რომლის თანახმადაც, ქალებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ ბავშვების აღზრდაზე.პრობლემურია კაცი მასწავლებლების მიმართ დამოკიდებულებაც. გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლებისა და მოსწავლეების მხრიდან კაცი მასწავლებელი მეტ პატივისცემას იწვევს.

2013-2014 წლებში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა განათლების სისტემაში გენდერული პრობლემები იკვლია. კვლევის დროს ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა უჩვენა, რომ მასწავლებლების და მშობლების მხარდაჭერა ნაკლები იყო იმ გოგონების მიმართ, რომლებიც სწავლის გაგრძელებას მათემატიკის ან საბუნებისმეტყველო დარგში აპირებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ გოგონების შედეგები ფიზიკასა და მათემატიკაში მაღალია, თუმცა გაცილებით დაბალია მათი თვითშეფასება ამ საგნებში.

2020 წელს, როდესაც ,,თანასწორობის მოძრაობამ“ კვლევა გამოაქვეყნა, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის ტერმინების მნიშვნელობა და არ აქვს თეორიული ცოდნა გენდერული პრობლემების შესახებ, თუმცა ისინი მაინც ხედავენ და შეუძლიათ ამოიცნონ გენდერული როლები, რომელსაც მათ საზოგადოება უწესებს.

ამასვე ადასტურებს ჩემი პრაქტიკაც. სამწუხაროდ, სკოლა გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებისა და გავრცელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილად რჩება. გავრცელებული სტერეოტიპების დიდი ნაწილი სწორედ სკოლის ასაკიდან მოდის. გამონათქვამებს, რომელიც გაუცნობიერებლად ილექება მოსწავლეების ქვეცნობიერში, არც თუ იშვიათად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

იმის ფონზე, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა საქართველოში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, მნიშვნელოვანი როლი გვენიჭება მასწავლებლებს. ცნობიერების დონეზე გარდაქმნები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ ამაზე მუშაობას სკოლიდანვე დავიწყებთ. სკოლამ უნდა აღზარდოს გენდერული სტერეოტიპებისა და პატრიარქალური ნორმებისგან თავისუფალი ადამიანები, რომლებიც ცალსახად ემიჯნებიან ძალადობას.

ია ლაგვილავა, ნინა მერკვილაძე
ქუთაისის N17 სკოლა

გენდერი და სასკოლო გარემო

განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სოციალური თანასწორობის მიმართულებით, რაც პირველ რიგში მამრობითი და მდედრობითი სქესის თანასწორობას გულისხმობს. სასკოლო გარემოში გენდერულ თანასწორობაზე მსჯელობისას, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია სწავლის ყველა საფეხურზე სიტუაციის ანალიზი და შეფასება, მეორე მხრივ კი სოციუმის შეხედულებების კონტექსთან დაკავშირება.

გენდერისადმი დამოკიდებულებას თითოეული ჩვენგანის აზრი განსაზღვრავს. სასკოლო გარემოში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. საინტერესოა, თითოეული ჩამოთვლილ პერსონათა ინტერვიუ და მათი დამოკიდებულების განსაზღვრა.

გავრცელებული სტერეოტიპის თანახმად, საზოგადოების უმრავლესობა მამაკაცთა უპირატესობას აღიარებს. ქალთა სქესის წარმომადგენლები წლების განმავლობაში იბრძვიან თანასწორი უფლებების დასამკვიდრებლად; მეტნაკლებად მასწავლებელთა ნაწილი თანაბარ პოზიციაში აყენებს ორივე გენდერს. თუმცა გამოიყოფიან ისეთებიც, რომლებიც დამკვიდრებული სტერეოტიპების მიხედვით ასხვავებს ადამიანებს (მოსწავლეებსა თუ კოლეგებს).

არსებული ტოქსიკური შეხედულებები უნდა შევცვალოთ მოზარდებში ნაადრევი ასაკიდან. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ სასკოლო გარემო იყოს ყველანაირი გენდერული დისკრიმინაციებისა და არასწორი შეხედულებებისაგან თავისუფალი. სასკოლო გარემო უნდა იყოს ჯანსაღი და მიმღებლური. ყველა მოსწავლის მიღწევები და შედეგები უნდა შეფასდეს ობიექტურად და არა რამე გენდერული ნიშნის გათვალისწინებით. მსგავს გარემოში აღზრდა ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობით აღსავსე, მიმღებლური, თანასწორობის მომხრე მოქალაქის ჩამოყალიბებას.

სკოლა არის ის გარემო, სადაც მოსწავლე ყალიბდება კანონმორჩილ, სამართლიან მოქალაქედ. სტერეოტიპებისაგან თავისუფალ და არადისკრიმინაციულ გარემოში დროის გატარება ხელს შეუწყობთ თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გავლენას მოახდენს მოსწავლეებზე მომავალი პროფესიის არჩევის დროს. სინი გაითვალისწინებენ საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებს და არა საზოგადოებაში არსებულ დოგმებსა და უარყოფით სტერეოტიპებს.